

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მაია ფუტკარაძე

**მიხეილ თუამნიშვილის ღვანლი ქართული ლიტერატურის
ისტორიაში**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეა თავბერიძე - ასოც.პროფ.

აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

ანოტაცია

ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედება მნიშვნელოვანი სიახლეებით და მიღწევებით ხასიათდება. ოჯახიდანვე ლიტერატურულ ტრადიციებზე გაზრდილი მიხეილ თუმანიშვილი წერდა რომანტიკული სულიკვეთების ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე, იყო რეალისტური ხედვის კრიტიკოსი და პუბლიცისტი, ასევე კვალიფიციური მთარგმნელი და ამ ყველაფერს იგი უთავსებდა სახელმწიფო სამსახურს. მრავალფეროვანია მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა: ისტორიული ექსკურსები, ნარკვევები ძველი ციხე-კოშკების, არქიტექტურული ნაგებობების, შესახებ. წერდა სახვით ხელოვნებაზე, მუსიკაზე, თეატრზე. აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივად საკეთილდღეო საქმეებში.

ზევით თქმულიდან გამომდინარე, საკვლევ თემად ავიღეთ მიხეილ თუმანიშვილის კრიტიკულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა დღენიადაგ საზოგადო საქმიანობით დაინტერესებული რომანტიკოსის ფართო და მრავალმხრივი შემოქმედება, რომლითაც ხელოვანმა წარუშლელი კვალი დატოვა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

A n n o t a t i o n

The work of the well-known public figure and genuine patriot Mikheil Tumanishvili is characterized with significant innovations and achievements. Grown in the family of literary traditions, Mikheil Tumanishvili wrote romantic poems in the Georgian and Russian languages. He was a publicist with critical-realistic vision. He was also a qualified translator, combining all these with state work. His literary heritage is varied. He wrote about historical excursions, sketches of old fortresses, architectural buildings. He also wrote about art, music, theatre. He was actively involved for the welfare of public affairs.

On the basis of mentioned above, we started a research about the critical-publicistic deeds of Mikheil Tumanishvili. Our target was to show a varied and versatile deeds of a romanticist, constantly interested in public activities, remaining inerasable trace in history of Georgian Literacy of the 19th century.

სარჩევი

შესავალი-----	5
1. საკითხის კვლევის ისტორიისთვის -----	7
II. ქართული რომანტიზმის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები -----	16
III. პოეტური სული მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებაში-----	21
IV. მიხეილ თუმანიშვილის საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მოღვაწეობა --	30
V. მიხეილ თუმანიშვილი - თეატრალური კრიტიკოსი -----	45
VI. მიხეილ თუმანიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა-----	52
VII. დასკვნა -----	57
VIII. გამოყენებული ლიტერატურა -----	60

შესავალი

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში განსაკუთრებულ ფიგურას წარმოადგენს მიხეილ თუმანიშვილი. მისი სახელი დაკავშირებულია ამ ეპოქაში განვითარებული ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებთან. ქვეყნის ჭირ-ვარამის ამსახველი მოვლენები უხვადაა მის კრიტიკულ თუ პუბლიცისტურ სტატიებში. მისი შემოქმედება ერის საჭირობოროტო საკითხების დასმის და გადაჭრის მცდელობას ემსახურება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ თუმანიშვილი ეპოქის პირობების შესაბამისად ყოველთვის იდგა ქართული სიტყვის და საქმის სადარაჯოზე. გამოჩენილ ხელოვანს იმ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად უწევდა შემოქმედებითი საქმიანობა, რომლებმაც განსაზღვრეს მთელი ქართული ლიტერატურული ცხოვრება.

მიხეილ თუმანიშვილის, როგორც ლიტერატორის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი ოჯახს მიუძღვის. მას ოჯახმა ბავშვობიდანვე ჩაუნერგა პატრიოტული სულისკვეთება, რამაც განაპირობა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში მისი აქტიური ჩართულობა.

ნიჭიერი ხელოვანი ერთდროულად იყო მწერალიც, მთარგმნელიც და კრიტიკოსიც. მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული თუმანიშვილი მიეკუთვნება პოეტების იმ თაობას, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ პოეზიას, გაავრცელეს ახალი მხატვრული სტილი და შინაარსი. თუმანიშვილის პოეზია იმის მიუხედავად, რომ გარკვეულწილად ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ანარეკლია, არანაირად არ მიიჩნევა გენიოსი პოეტის უნიჭო მიბაძვად. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ თუმანიშვილმა კიდევ უფრო დაამუშავა და გაამრავალფეროვნა ბარათაშვილთან დასმული საგულისხმო საკითხები. მისი ლექსები გამოირჩევა თავისებური ინდივიდუალურობით.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში უსაზღვროდ დიდია მიხეილ თუმანიშვილის, როგორც მთარგმნელის როლი. პუშკინის შემოქმედების სრულყოფილი სახით მოსვლა ქართველ მკითხველამდე მისი პირდაპირი დამსახურებაა. მისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ იმ ნაწარმოებთა გადმოთარგმნა, რომლებიც შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნის კულტურას და ტრადიციებს. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის პატრიოტულ სულისკვეთებაზე.

ჩვენი სამაგისტრო **თემის მიზანი**, რის გამოც, დავინტერესდით მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრების გახსენებით არის ის რომ, ჩვენი დაკვირვებით თანამედროვე საზოგადოებაში იშვიათად გვხვდება თუმანიშვილისნაირი მრავალმხრივი მოღვაწე. მისი გახსენება უთუოდ სიამაყით გვაგვსებს, რომ ჩვენ ესოდენ ძლიერი შემოქმედებითი და არამარტო შემოქმედებითი ნიჭის წინაპარი გვყავდა.

თემა ნაკვლევია ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.

თემის აქტუალობა განვსაზღვრეთ საქართველოში დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. მივიჩნიეთ, რომ ახლა ჩვენს სამშობლოს ყველაზე მეტად სჭირდება იმ მოღვაწეთა დამსახურების წინა პლანზე წამოწევა, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს სამსახურში გალიეს, სწორედ ასეთად მივიჩნიეთ მიხეილ თუმანიშვილი, რომლის პოეზიის მთავარი ღერძი იყო საქართველო და საქართველოს ძველი დიდების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე - არის მიხეილ თუმანიშვილის პოეზიის ლექსმცოდნეობითი ანალიზი, კერძოდ, მისი შემოქმედების მხატვრული მხარე.

თავი -1

საკითხის კვლევის ისტორიისთვის

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა თავისი სიტყვა-კაზმულობით მდიდარი და მრავალფეროვანია. მან ამ რთულ და საინტერესო ეპოქაში განვითარების თავისებური საფეხურები განვლო.

ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება საუკუნის პირველ ათეულ წლებში საგრძნობლად დაქვეითებულია. ეს განაპირობა იმ ეპოქაში არსებულმა ვითარებამ. ქართულ ლიტერატურაზე დაწერილ წერილებში ილია ჭავჭავაძე ეპოქას შემდეგნაირად ახასიათებს: „18 საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველი წლების წენვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰლალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქოს მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა, და თითქმის ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა ახალ მოვლენილს ბედსა და გარემობას“. (მახარაძე, 1982:9)

20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართულ მწერლობაში აღმავლობის ხანა იწყება. ამ დროს უკვე სალიტერატურო სარბიელზე გამოდიან: იოანე ბატონიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე და სხვები. 30 -იანი წლების დამდეგიდან კი სალიტერატურო ასპარეზზე ჩნდებიან: დავით მაჩაბელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და მიხეილ თუმანიშვილი. ეს იყო თაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განვითარებაში. სწორედ ეს თაობა აღმოჩნდა განმსაზღვრელი ძალა მთელი ქართული ლიტერატურული

ცხოვრებისა მე-19 საუკუნის შუა წლებამდე. ახალი ქართული მწერლობა 30-იანი წლებიდან მოყოლებული მუდმივად იზრდება და ვითარდება.

ახალმა ქართულმა მწერლობამ პირველი საგულისხმო შენამატი მე-19 საუკუნის 30-იან წლებში მიიღო. ეს შენამატი იყო გიორგი ერისთავის უურნალი „ცისკარი“ და მუდმივი ქართული პროფესიული თეატრი, რომელმაც ქართული ლიტერატურისა და ზოგადად, ეროვნული კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

მე-19 საუკუნის დამდეგს, კერძოდ კი 1804 წელს თბილისში კეთილშობილთა სასწავლებელი გაიხსნა. აქ დადიოდნენ თავადაზნაურთა შვილებიც. სწავლება რუსულ და ქართულ ენებზე მიმდინარეობდა. სასწავლებელი 1830 წელს გიმნაზიად გადააკეთეს. (ამ გიმნაზიაში სწავლობდნენ გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი). მოგვიანებით გიმნაზია ქუთაისშიც გაიხსნა, ხოლო თბილისში პირველ გიმნაზიას მეორეც დაემატა. აქვე დაარსდა ქალთა პირველი სკოლა-პანსიონი.

1819 წელს გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი. მას ჯერ „საქართველოს გაზეთი“, ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთი“, ეწოდებოდა.

„1828-1832 წლებში გამოდიოდა გაზეთი „ტფილისის უწყებანი“, რომელიც რუსული „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ თარგმანს წარმოადგენდა. ქართული გაზეთის რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი იყო. 1832 წელს დოდაშვილმა „ტფილისის უწყებანი“ დამატების სახით გამოსცა „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათაგანი“. ამ უურნალის ინიციატორები მის რედაქტორ სოლომონ დოდაშვილთან ერთად იყვნენ ელიზაბედ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ალექსანდრე ორბელიანი. ეს იყო პირველი ქართული უურნალი, რომელიც თავის პირდაპირ მიზნად ისახავდა ქართული კულტურის სამსახურს.“ (ჩოხარაძე, 2007:12)

ქართული უურნალისტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გაზეთი „ტფილისის უწყებანი“, რომელშიც იბეჭდებოდა მასალები საქართველოს ისტორიული მტრების - თურქების, ირანელების და აგრეთვე ლეკთა თავდასხმების წინააღმდეგ ქართველებისა და რუსების ერთობლივი გმირული ბრძოლების შესახებ.

გაცილებით დიდი მნიშვნელობის იყო პირველი ქართული უურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. მისი მთავარი მიზანი და დანიშნულება ქართველთა შორის ეროვნული მწერლობისადმი სიყვარულის გაღვიძება, აგრეთვე, საზოგადოებაში „თავისუფალი აზრების“ დანერგვა და „თავისუფლების მოყვარეობით აღბეჭდილი თხზულებების“ დაბეჭდვა იყო.

სოლომონ დოდაშვილის შესანიშნავი ვრცელი ნარკვევი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულის გაღვიძებას ემსახურება. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ კი საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებას იუწყებოდა.

„30-იანი წლების უურნალ-გაზეთების ფურცლებზე მაინც მეტად მკრთალად არის ასახული ქართული საზოგადოების სულიერი ცხოვრება; სინამდვილეში იგი გაცილებით მეტი შინაარსით და მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტებით იყო აღსავსე.“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი III, 1969: 18)

1852 წელს გიორგი ერისთავის რედაქტორობით გამოვიდა უურნალი „ცისკარი“, რომელიც ლიტერატურულ ორგანოს წამოადგენდა, უურნალში პოლიტიკური ხასიათის მასალის გამოქვეყნება აკრძალული იყო. „ცისკარმა“ იმის მიუხედავად, რომ ორი წელი იარსება, ქართული კულტურის აღორძინებაში მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოში კულტურული დაწესებულებების როლს თბილისის ცნობილი სალონები ასრულებდნენ. მწერლობის მოყვარულები თბილისის მოწინავე არისტოკრატიულ ოჯახებში იკრიბებოდნენ. თავიანთ შეხედულებებს ერთმანეთს სწორედ ასეთ შინაურ შეკრებებზე უზიარებდნენ. კითხულობდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს და განიხილავდნენ სხვადასხვა საკითხს. იმ დროისათვის ძირითადად სახელგანთქმული იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის და მანანა ორბელიანის სალონები, სადაც არამართო ქართველები, არამედ თბილისში სხვადასხვა მიზეზით ჩამოსული რუსი და ევროპელი მოღვაწეებიც იყრიდნენ თავს.

ამ სალონებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მე-19 საუკუნის საქართველოს კულტურული ცხოვრებისათვის. ამას მოწმობს ის ფაქტები, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა „ბედი ქართლისა“, პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში წაიკითხა. უურნალ „ცისკრის“ და ქართული თეატრის დაარსების საკითხი მანანა ორბელიანის სალონში გადაწყდა. აქ მსჯელობდნენ მამულიშვილები ქვეყნის თუ კულტურის საჭირობო საკითხებზე. ასეთ პირობებში იწყებოდა ახალი ეტაპი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გამოცოცხლება დაეტყო თეატრალურ ცხოვრებასაც. 1832 წელს თბილისში წარმოუდგენიათ გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, რომლის შესახებაც ცნობას გვანვდის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. 30-იან წლებში უკვე იმართებოდა სპექტაკლები.

ვახტანგ ორბელიანს და გიორგი ერისთავს რუსულიდან ქართულად უთარგმნიათ საყოფაცხოვრებო ხასიათის კომედია, რომლის დადგმაზე მათთან ერთად ენერგიულად მუშაობდა თეატრის მოყავრული ქართველი ახალგაზრდობა.

„ 1841 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა თარგმნა ლაიბევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“, ხოლო დიმიტრი ყიფიანმა - შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი III, 1969: 20)

მე-19 საუკუნის პირველ მესამედში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ასევე სახალხო განათლების სფეროშიც. ძველი ტიპის სასწავლებლების ნაცვლად ყალიბდება ახალი, ევროპული ტიპის კერძო სკოლები და პანსიონები. სწავლა-აღზრდისა და განათლების სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1802 წელს „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“ დაარსებას. სასწავლებელი 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. აქ განათლება მიიღო არა ერთმა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ (გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ნ. ბარათაშვილი).

1832 წელს თბილისში ჩამოაყალიბეს ქალთა კერძო სასწავლებელი, რომელიც 1840 წელს ქალთა ინსტიტუტად გადააკეთეს. თბილისში, 1817 წლიდან არსებობდა სასულიერო სასწავლებელი და სემინარია.

ქართველ მოღვაწეთა მესვეურებით 40 -იანი წლების დასაწყისში თბილისში საფუძველი ჩაეყარა პირველ კერძო ბიბლიოთეკას.

გასული საუკუნის 20-30 იანი წლების საქართველოს კულტურული ცხოვრების საერთო სურათის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია ის სულიერი კავშირი, რომელიც ამ პერიოდში დიდმა რუსმა პოეტებმა - გრიბოედოვმა, პუშკინმა და ლერმონტოვმა დაამყარეს ქართულ საზოგადოებასთან. ქართული კულტურის მოღვაწეებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აგრეთვე მოწინავე სომეხ და აზერბაიჯანელ მწერლებს, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ.

ამავე პერიოდში საქართველოში ჩამოდიოდნენ რუსი მწერლები. მათთვის ჩვენი ქვეყანა მეორე სამშობლო იყო, სადაც უმრეტი შთაგონების წყაროს ნახულობდნენ. საქართველოს ისტორიული წარსული, ქართველი ხალხის ყოფაცხოვრება, მისი კულტურა და წარმტაცი ბუნება მათ მხატვრულ ფანტაზიას მდიდარ მასალას აძლევდა. ბესარიონ ბელინსკი აღტაცებით წერდა: „უცნაური რამაა! კავკასია თითქოს მონოდებული იყო გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად, მათ პოეტურ სამშობლოდ! პუშკინმა კავკასიას მიუძღვნა ერთ-ერთი თავისი პირველი პოემა - „კავკასიის ტყვე“... მისი რამდენიმე შესანიშნავი ლირიკული ლექსიც კავკასიას მიეკუთვნება. (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი III,1969: 22)

ჩვენ მიერ მიმოხილული ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მიხეილ თუმანიშვილი - პოეტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე დაიბადა 1818 წლის 19 მაისს სოფელ ხელთუბანში, რომელიც ქალაქ გორთან ახლოს მდებარეობს. ბავშვობის წლები მიხეილმა მშობლიურ სოფელსა და გორში გაატრა. დაწყებითი განათლება იქვე მიიღო გორელი მღვდლისაგან.

მიხეილ თუმანიშვილი წარმოშობით იმ ოჯახს მიეკუთვნება, რომელიც თავის დროზე მწიგნობრული საქმიანობით იყო ცნობილი. მიხეილის მამა, ბირთველ თუმანიშვილი, ჯერ მეფე ერეკლეს და შემდეგ გიორგი მეთორმეტის მდივანი იყო. დედა, ანა, სომხეთის მელიქის ათანასე მირიმანოვის ასული განათლებული ქალი

გახლდათ. მისი მთავარი მიზანი ღირსეული შვილების გაზრდა იყო, რომლებიც მუდამ სამშობლოს სამსახურში იქნებოდნენ.

ბირთველ თუმანიშვილის მიერაა გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ნუსხა და ზოგიერთი სხვა ძეგლიც, რომელიც მიუთითებს, რომ თუმანიშვილის ოჯახში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ზოგადად ტრადიციებს და, რა თქმა უნდა, ლიტერატურულ ტრადიციებსაც. ბირთველის უფროსი შვილი, ავთანდილი ლირიკული ლექსების და სატირული ხასიათის რამდენიმე დიალოგის ავტორია, მის კალამს ეკუთვნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი - „საქართველოს ქალაქის გორის ისტორია“.

1831 წელს მიხეილ თუმანიშვილის ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქალაქში. მშობლებმა ის სასწავლებლად თბილისის გიმნაზიაში შეიყვანეს. გიმნაზიაში არსებული მკაცრი პირობების მიუხედავად, მიხეილი მაინც ახერხებს თავის დამკვიდრებას, უფრო მეტიც ის გახლავთ პირველი ლიტერატურული ალმანახის, ეგრედ წოდებული „ანთოლოგიის“ გამომწერი. იგი აქ 6 წლის განმავლობაში სწავლობდა. იმავე წლებში, გიმნაზიაში სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. იმის მიუხედავად, რომ მიხეილი ნიკოლოზ ბარათაშვილზე ერთი კლასით უკან იყო, მათ განსაკუთრებული ახლო მეგობრობა ჰქონდათ. მათი მეგობრობა არ შემოფარგლულა მხოლოდ გიმნაზიელობის პერიოდით, იგი გაგრძელდა მთელი ცხოვრების განმავლობაში.

„თბილისის გიმნაზიაში, გიმნაზიელთა ერთი ჯგუფი, პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლის-სოლომონ დოდაშვილის, დემენტიევისა და სხვათა ზეგავლენით ეცნობოდა თავისი დროის მოწინავე პოლიტიკურ და ლიტერატურულ იდეებს. ამ ჯგუფში მიხეილ თუმანიშვილი თვალსაჩინო როლს ასრულებდა. საკმარისია ითქვას, რომ პირველი ლიტერატურული ალმანახი, ე.წ. „ანთოლოგია“, რომელიც გიმნაზიელებს შეუდგენიათ გადაწერილია მიხეილ თუმანიშვილის მიერ.“. (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი III, 1969:204)

განსაკუთრებით დიდია მიხეილ თუმანიშვილის როლი „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ გამოცემაში. მოსწავლეთა ცნობილი ჟურნალი 1835 წელს გამოიცა. ამ ჟურნალის გამოცემის დროს მიხეილ თუმანიშვილი უკვე უფროსი კლასის

მოსწავლე იყო, ამიტომ გიმნაზიელთა წრეში ავტორიტეტით სარგებლობდა. იზიდავდა თანამშრომლებს და აგროვებდა მასალებს. ის გახლდათ არა მხოლოდ ერთ-ერთი ინიციატორი ჟურნალის დაარსებისა, არამედ რიგი მასალა, რომელიც „თბილისის გიმნაზიის ყვავილში“ იყო მოთავსებული მიხეილის კალამს ეკუთვნის.

1836 წელს მიხეილ თუმანიშვილმა გიმნაზიის კურსი დაასრულა. დიდი სურვილის მიუხედავად, უმაღლესი განათლების მიღება ვერ შეძლო. როგორც ალექსანდრე ხახანაშვილი შენიშნავს: „უნივერსიტეტის გზა მისთვის მატერიალური ხელმოკლეობის გამო დახშული აღმოჩნდა“. ამ მხრივ მან თავისი მეგობრის ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედი გაიზიარა. 1837 წელს მიხეილ თუმანიშვილი თბილისის სახაზინო პალატაში შევიდა უბრალო მოხელედ.

„მიხეილ თუმანიშვილი სახელმწიფო სამსახურში ისე შევიდა, რომ არც გავლენის მქონე ნათესავები ჰყოლია, არც შეძლება ჰქონია, რაც ხელს უწყობს ხოლმე კარიერას. მას თავისი ძალღონით უხდებოდა ცხოვრების გზის გაკვალვა. მისი დამსახურება სწორედ ის იყო, შეძლო სამსახურში მალლა დაეყენებინა მოქალაქის ღირსება და მოეპოვებინა საყოველთაო პატივისცემა ხასიათის სიმტკიცით და დამოუკიდებლობით“. (ხელთუბნელი, 1938:59)

ის იყო პიროვნება, რომელსაც მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდა და იცოდა, რომ წარმატების მიღწევისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ სურვილი, არამედ შრომა, სირთულეების გადალახვა და რწმენა. რთული ცხოვრების მიუხედავად, მან შეძლო ყველა დაბრკოლების ღირსეულად გადალახვა.

ორმოციან წლებში საყურადღებო მომენტს წარმოადგენს მისი ახლო ურთიერთობა ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან და ორბელიანებთან. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ის მეგობრობდა საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელ მწერალ ფადეი ლადა-ზაბლოცკისთან, რომელმაც მიხეილ თუმანიშვილის ლექსი „ფიალა“ პოლონურ ენაზე თარგმნა.

შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ თუმანიშვილის სალიტერატურო მოღვაწეობაში მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების დასასრული ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია. სწორედ ამ დროს იწერება მისი საუკეთესო ლექსები. იგი ნიკოლოზ

ბარათაშვილთან ერთად, აქტიურად არის ჩაბმული გაცხოველებულ ლიტერატურულ საქმიანობაში. ისინი ერთმანეთს ხვდებიან ალექსანდრე ჭავჭავაძისთან და ვახტანგ ორბელიანთან, ასევე მანანა ორბელიანთან, რომლის სახლი საყოველთაოდ ცნობილ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა.

გადის წლები, სახელმწიფო სამსახური თუმანიშვილს თანდათან ბოჭავს, რის გამოც ის იძულებული ხდება დროებით ჩამოშორდეს ლიტერატურულ საქმიანობას, ამას დაემატა ისიც, რომ 1840 წლიდან, მიხეილი დაოჯახდა, იგი თანდათან პირადი ცხოვრებისთვის ზრუნვამ გაიტაცა. მას 12 შვილი ჰყავდა.

1842 წელს მიხეილ თუმანიშვილი განსაკუთრებულ მინდობილობათა უმცროს მოხელედ დაინიშნა, ხოლო 1846 წლიდან თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში გადავიდა. მისი ენერგიული წინსვლა სამსახურეობრივი კარიერის გზაზე სწორედ აქედან დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულებაში თუმანიშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და უნარიანობით.

„1858 წლიდან თუმანიშვილი კავკასიის სამოქალაქო მოწყობის საქმეთა განყოფილების დირექტორის თანამდებობას ასრულებდა, ხოლო 1861 წელს, როდესაც შეიქმნა მემამულეთა გლეხების მომწყობი კავკასიის კომიტეტი, მიხეილი ამ კომიტეტის საქმეთა მმართველად დაინიშნა. იგი თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობით უშუალოდ მონაწილეობდა ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ მწერალი „გლეხთა მოწყობის კომიტეტის“ კანცელარიის დირექტორად დაინიშნა. სამოცდაათიან წლებში, იგი მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი გახდა“. (მახარაძე, 1982:349)

მიხეილ თუმანიშვილი 1875 წლის 2 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალეს თბილისში. მისი გარდაცვალება არ გაუხმაურებიათ, რადგან იმ დროს მიხეილის ვაჟი გიორგი ოდესაში გამოცდებისთვის ემზადებოდა. ამიტომ ოჯახის თხოვნით, გაზეთებში არც განცხადება და არც ნეკროლოგი არ გამოქვეყნებულა. ეროვნული

აღორძინებისთვის დაუცხრომელი სრულიად უპრეტენზიო და ნაცოფიერი მოღვაწე, ჩუმი მუშაკი მშობელმა მიწამ უხმაუროდ მიიღო.

მოვიხმობთ რამდენიმე ნაწყვეტს მოგონებებიდან, რომლებიც მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნას ეძღვნება: „65 წელი შესრულდა ჩუმი ქართველი მოღვაწის მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალებიდან. მონათევობიდანვე იგი გასაოცარ ინიციატივას საქმიანობას და გაბედულებას იჩენდა. მიხეილ თუმანიშვილი ნიკო ბარათაშვილის პოეტური სკოლის წარმომადგენელია მისი ლექსებიც სულის აღმშოთი მღელვარებით „მაცდურ ამაოებისადმი“ შეურუგებლობით და რომანტიკული სულის ამბოხებით არის აღსავსე. ამიტომაც არის, რომ ნიკო ბარათაშვილი თავის უფაქიზეს გრძნობებს და განცდებს თავის თანამოაზრე პოეტს და მეგობარს მიხეილ თუმანიშვილს ანდობდა, ნიკო ბარათაშვილის დიდი პოეზიის თვალისმომჭრელ ბრწყინვალებაში მიხეილ თუმანიშვილის ლექსები თუმცა დაჩრდილულია, მაგრამ ისინი მაინც გულისხმიერად მეტყველებენ გასული საუკუნის 30-40 იანი წლების მოწინავე ადამიანთა სულიერ სამყაროზე. მისი დიდი დამსახურებაა, რომ ქართველ მკითხველებს პირველმა გააცნო გენიალური რუსი მწერალი ალ. პუშკინი.“ (ჯანელიძე, გაზეთი კომუნისტი, 1940 :4)

„ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო მიხეილ თუმანიშვილი, დღენიადაც საზოგადო საქმიანობით დაინტერესებული, დინჯი, დაკვირვებული, დარბაისელი. უსაქმოდ წუთსაც ვერ ძლებდა. დროის ფუჭი ხარჯვა ვერც კი წარმოედგინა. ამიტომაც ასწრებდა, ალბათ, ამდენ საზოგადო და საოჯახო საქმეს. მხიარულებისთვისაც იცლიდა. მისი სახლი სტუმრიანი იყო. მშვენივრად მოუბარი, გულლია მასპინძელი ყველა ასაკის ადამიანებს იზიდავდა. ყველას საინტერესო სათქმელს უნანილებდა. უყვარდა ლამაზად ჩაცმადახურვა. ხშირად სეირნობდა, ბედაურიც საგანგებოდ ჰყავდა მოვლენილი. იმ ზომამდე, რომ ცხენს ჩლიქები შავი ვაქსით ჰქონდა თურმე გაპრიალებული.

განსაცვიფრებლად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო მიხეილ თუმანიშვილის უნარიანობა და ინტერესები. თუკი სადმე საზოგადოებრივად საკეთილდღეო საქმე კეთდებოდა იქ მიხეილ თუმანიშვილიც ერია. სულ ერთია, იქნებოდა ეს თბილისის კერძო ბიბლიოთეკის შექმნა, სათავადაზნაურო ბანკის,

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გახსნა თუ საქართველოში უნივერსიტეტის დაარსება. ხშირად წერდა წერილებს. აქვეყნებდა ქართულსა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში: „ცისკარში“, „კავაზსკი ვესტნიკში“, „ტიფლისკი ვესტნიკში“, „დროებაში“. მეტად მრავალფეროვანია მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა: ისტორიული ექსკურსები, ნარკვევები საქართველოს რუსეთთან შეერთების თაობაზე, ძველი ციხე-კოშკების, არქიტექტურული ნაგებობების, შესახებ. წერდა სახვით ხელოვნებაზე, მუსიკაზე, თეატრზე.“ (ურუშაძე, 1978:6-7)

თავი II

ქართული რომანტიზმის წარმოშობის და განვითარების ეტაპები

„რომანტიზმი ქართულ მწერლობაში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ყალიბდება და ამავე საუკუნის 50-იან წლებამდე გაბატონებულ ლიტერატურულ მიმართულებად რჩება. ქართული რომანტიზმის განვითარებას ხელი შეუწყო ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებმა. რომანტიზმი პირველი მიმართულებაა ქართული მწერლობის ისტორიაში. მას არ დასჭირვებია ლიტერატურული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა, არ დასჭირვებია რაციონალისტური პოეტიკის დაძლევა და შემოქმედის თავისუფლების პრინციპის ქადაგება“. (ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:652)

უნდა ითქვას, რომ ქართულმა რომანტიზმმა უბრალოდ კი არ გააგრძელა ეროვნული მწერლობის განვითარების ხაზი, არამედ ის ჩვენში ნიშნავდა ქართული კულტურის ერთი ხანგრძლივი პერიოდის, ძველი ქართული მწერლობის, განვითარების დამთავრებას და სავსებით ახალი ლიტერატურული აზროვნების, პოეტური ხილვის, ახალი თემებისა და მხატვრული სტილის დამკვიდრებას. ეს იყო შემობრუნება ახალი პოეტური სამყაროსაკენ, თუმცა ქართული რომანტიზმი არ მოსწყვეტია მშობლიურ ნიადაგს და არ უარყვია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, პირიქით ქართველი რომანტიკოსების ფიქრის საგანი ყოველთვის სამშობლო იყო, თითოეული მათგანი თავის სათქმელს ხელოვნების, შემოქმედების საშუალებით ამბობდა, ისინი მუდამ იღვნენ სამშობლოს სადარაჯოზე.

„მართალია, მე-18 საუკუნის დამლევს და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველმა მწერლებმა თარგმნეს ან გადმოაკეთეს კლასიციკური და სენტიმენტალისტური ლიტერატურის ცალკეული ნიმუშები (მაგალითად, პიესები, მოთხრობები და ლექსები კორნელისა, ვოლტერისა, რუსოსი და სხვ.) მაგრამ ეს არ იყო მცდელობა დაენერგათ რომელიმე მიმართულება. ქართველი მწერლები და პოეტები ცდილობდნენ სიღრმისეულად გაცნობოდნენ ახალ კულტურულ სამყაროს, რომელშიც მოიაზრებოდა რომანტიზმი, შემდეგ კი ქართველი მკითხველისათვის გაეცნოთ ევროპულ-რუსული ლიტერატურის ნიმუშები“. (ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:652-653)

„ქართული რომანტიზმის შორეული ფესვების დაძებნამდე, ჯერ კიდევ ჩვენს რომანტიკოსთა თვალწინ მიმდინარეობდა ისეთი პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები, რომლებიც გარემოსადმი რომანტიკული მიდგომის გამოსამჟღავნებლად ქმნიდა პირობებს. რასაკვირველია, ყოველივე ამის შემდეგ იქმნებოდა ლიტერატურული ამინდი, რომ ისინი საგანგებოდ დაინტერესებულიყვნენ საქართველოს წარმტაცი წარსულით, მისი გმირებით, რწმენის სიმტკიცის და რაინდული სულის სამაგალითო ელფერი დატვირთული ეპიზოდებით ჩვენი ისტორიიდან“. (ევგენიძე,1982:50)

„ქართული რომანტიზმის არსი ძირითადად მაინც, იმ პერიოდშია საძიებელი, როცა ის წარმოიშვა და დამკვიდრდა, როგორც ლიტერატურული მიმართულება. ყოველივე ეს კი თავისებურად მჟღავნდება ისტორიული პიროვნების ფსიქოლოგიაში. ქართულ ზეპირსიტყვიერებას, მწერლობას მუდამ თან სდევდა რომანტიკული გრძნობა, რომანტიკული სული, განწყობილება. იგი დამახასიათებელია ყველა ეპოქის ადამიანის ბუნებისათვის. ყველაფრის სათავე თვით სოციალური, ისტორიული ადამიანის ბუნებაა, მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი“. (კალანდაძე,1986:81)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც დაარსდა ქართული პრესა და დაიწყო ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის გამოცოცხლება, ამ პროცესში ქართველ რომანტიკოსთა უფროსი თაობა ენერგიულად ჩაება. ეროვნული მწერლობის სასიცოცხლო პრობლემის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი... განსაკუთრებით აღსანიშნავია მიხეილ თუმანიშვილის როლი. იგი იყო რეალისტური სალიტერატურო კრიტიკის ფუძემდებელი, ამ მხრივ მიხეილის მოღვაწეობა ფასდაუდებელია.

პროფესორი გრიგოლ კვიციანიძე, მართებულად აღნიშნავს, რომ „ჩვენი რომანტიკოსი მწერლები სწორედ იმიტომ არიან რომანტიკოსები, რომ მათაც პიროვნების სუბიექტური სამყაროს ჩვენება დაისახეს მიზნად, ისინიც საკუთარი განცდების ჩვენებამ გაიტაცა, მაგრამ მათ ისეთი საკუთარი სულიერი სინამდვილე წარმოსახეს და წინ წამოსწიეს, რომელსაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი

მნიშვნელობაც აღმოაჩნდა. ჩვენი რომანტიკოსების განცდათა ფონზე აისახა ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი ყოფა და ადამიანთა ეროვნული ფსიქიკური წყობა. ესაა იმის პირობა, რომ ქართველი რომანტიკოსების შემოქმედება განსხვავდება და გამოირჩევა სხვა ხალხის მწერალთა შემოქმედებისაგან და მას საკუთარი კოლორიტი აქვს. მაგრამ ქართველი რომანტიკოსების ეროვნული თვითმყოფადობის აღნიშვნა სრულიადაც არ გულისხმობს თვითრეალიზაციას. სხვა ხალხების ლიტერატურამ ჩვენი რომანტიკოსების შემოქმედებაშიც ჰპოვა გამოძახილი და მათ არ უგულებელუყვიათ საერთო რომანტიკული ტენდენციები. საკუთარი მისწრაფებები და ოცნებანი მათ ეროვნულ მასალაში გახვიეს და თან იმ პრობლემატიკას შეუერთდნენ, რომელსაც საზოგადოდ რომანტიკოსები ეტანებოდნენ: სიცოცხლის არსი, ადამიანის შესაძლებლობათა ფარგლები, ბედისწერის პრობლემა, ბუნებასთან მიმართება-აი ეს და სხვა რიგის პრობლემები, რომლებიც აერთიანებს მათ მსოფლიო რომანტიზმის ტენდენციებთან“. (კიკნაძე, 1978:219)

ეროვნული საკითხი, ქართველ რომანტიკოსებთან ძალიან მწვავედ იდგა. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ ძველ საქართველოში ბრძოლა ქრისტიანობისათვის, რწმენისათვის ნიშნავდა ბრძოლას ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის, ქართველობისათვის.

„რომანტიზმი ქრისტიანი ხალხების ხელოვნებაა. ქრისტიანული სამყაროს გარეშე ეს მიმართულება ვერ მოიაზრება. ამიტომ ამბობდა ჰ. ჰაინე, რომ რომანტიზმი ეს არის „ტანჯვის ყვავილი, აღმოცენებული ქრისტეს სისხლიდან“. ქართული რომანტიზმიც ვერ განიხილება ქრისტიანობასთან მიმართების გარეშე. საერთოდ ჩვენი მწერლებისა და, კერძოდ, ამ მიმართულების სული ქრისტიანული აღმსარებლობითაა ნასაზრდოები“. (ქართული მწერლობა, მეცხრე ტომი, 1992:658)

როგორც საზოგადოდ ცნობილია რომანტიზმი ლიტერატურაში ლექსისა და ლექსის მწერალთა ეპოქა იყო. ეს აზრი რომანტიზმის არცერთ ეროვნულ გამოვლინებას არ მიესადაგება ისე როგორც ქართულს, რადგან რომანტიზმმა საქართველოში სწორედ ლექსის მწერალთა შემოქმედებაში იჩინა თავი.

ქართული რომანტიზმი, ნასაზრდოები იყო ნაწილობრივ ევროპული ნაწილობრივ კი რუსული რომანტიზმის ტრადიციებით. მას ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები მთელ წინამორბედ ქართულ ლიტერატურაში, საიდანაც მან ბევრი რამ აიღო. კერძოდ, ლექსის ფორმა და მხატვრულ სახეთა სისტემა. ქართველ რომანტიკოსთა ლექსებში თვალს ხვდება ისეთი ტრადიციული სახეები, როგორცაა გიშრის დალაღები, შავი თვალები, კოკობი ვარდი და ა.შ.

„საქართველოში რომანტიზმი წარმოადგენდა ტრადიციული და ახალი ელემენტების საკმაოდ რთულ და თავისებურ ნაერთს, რომელსაც კრავდა და ამთლიანებდა რომანტიკული მსოფლგანცდა, რაც იდეალსა და სინამდვილეს შორის არსებული უფსკრულის გამძაფრებულ შეგრძნებას ემყარებოდა“. (ნაკუდაშვილი, 1997:43)

მას შემდეგ, რაც ჩვენში რომანტიზმი განვითარდა ეროვნული პრობლემა უკანა პლანზე გადაინია და პიროვნების პრობლემა დაიყვანა მის როლზე ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობაში. რადგან რეალობა ქართველი რომანტიკოსებისათვის ციხე იყო, რომელშიც სატრფო-სამშობლო იტანჯებოდა. იდეალი კი თავისუფლება.

ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებისთვის დამახასიათებელია რეალობის მიუღებლობა, რამაც განაპირობა ერთის მხრივ წარსულის იდეალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, იდეალის მიღწევის ტიპური რომანტიკული გზის დასახვა, რაც გამოიხატებოდა სატრფო-სამშობლოს განმანათავისუფლებელი გმირის ძიებაში. რომანტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ძლიერი ადამიანის ნებისყოფას შეუძლია გარდაქმნას რეალობა ისე რომ, არავითარი ანგარიში არ გაუწიოს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

ქართულ რომანტიკულ პოეზიაში. ტყვე, სატრფო-სამშობლოს ალევორიულმა სახემ ორი განუხორციელებელი იდეალი სიყვარული და თავისუფლება განუყრელად დაუკავშირა ერთმანეთს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, ანუ რომანტიზმის განვითარების მეორე ეტაპზე, მთავარ ადგილს პიროვნების პრობლემა, მისი განცდები და შინაგანი

სამყარო იკავებს. შესაბამისად იცვლება სტილისტიკა და მხატვრული შემოქმედების ენა. თუ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანისთვის რეალობა ციხე იყო, ხოლო იდეალი-თავისუფლება ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის რეალობა „უდაბნოა“. იდეალი კი „ტაძარი“. („ვპოვე ტაძარი შესათარი უდაბნოდ მდგარი“) ეს აქცენტების გადანაცვლებაზე მიგვანიშნებს. თუ ადრე ყურადღება ძირითადად გარეგან მოვლენებზე იყო კონცენტრირებული (პოლიტიკური თავისუფლება) ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მზერა შიგნით არის შეტრიალებული, საკუთარ სულში მიმდინარე პროცესებისაკენ. „უდაბნო“ მარტოობის, „სულთა ობლობის“ გამომხატველია ხოლო „ტაძარი“ მთლანი და განუყოფელი სამყაროს, ცისა და მიწის ერთიანობის სიმბოლო. რეალობისგან გაქცევის მოტივი რეალობის გარდაქმნის ერთ-ერთი მცდელობაა რომანტიკოსთა შემოქმედებაში.

ამრგიად, ქართული რომანტიზმი თავისი ძირითადი ნიშნებით, რასაკვირველია, ემსგავსება სხვა ქვეყნების რომანტიზმს, მაგრამ მას თავისებური ხასიათიც აქვს, რადგან ეს მიმართულება ჩვენში განსაკუთრებულ პირობებში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა.

ქართულმა რომანტიზმმა გამოხატა ის ღრმა სევდა და მწუხარება, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იყო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნული თავისუფლების დაკარგვისა და სამშობლოს მწარე ბედის გამო. პატრიოტიზმი, სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი ქართველ რომანტიკოსთა ძირითად, მამოძრავებელ მოტივად იქცა. ეროვნული მოტივის ასე მძაფრად გამოსახვას, შეიძლება ითქვას, სხვა ქვეყნების რომანტიკოსთა შორის ვერ ვხვდებით.

ქართულ რომანტიზმში რეაქციული ნაკადი სუსტი იყო და მას ლიტერატურის განვითარებაზე ღრმა კვალი არ დაუშინებია. ქართველი რომანტიკოსები არ გამიჯნულან საზოგადოებრივი, ყოფითი ცხოვრებისგან, არასდროს არ ჰქონიათ მცდელობა უგულვებლყოთ ხალხის ინტერესები. ქართული რომანტიზმი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ხალხის სიყვარულის გრძნობით, მაღალი ჰუმანიზმით, სოციალური უკუღმართობისადმი შეურიგებელი ბრძოლით, ხალხთა მეგობრობის იდეით, ღრმა პატრიოტიზმით.... ყველაფერი ეს აისახა მათ შემოქმედებაში, რომელიც

დღემდე აქტუალურ საკითხად არის დარჩენილი და არ კარგავს ლიტერატურულ ღირებულებას.

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში თავი იჩინა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იდეამ, სინამდვილის ასახვისადმი მიდრეკილებამ; ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ერთგვარი რეალიზმის სანყისებოც გვაქვს.

თავი III

პოეტური სული მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებაში

ილია მართალი წერდა: პოეზია უცნაური მადლია, პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია, და სწორედაც რომ მიხეილ თუმანიშვილი იმ ღვთაებრივი საუნჯის მატარებელია, რომელიც ნაკარნახევია მხოლოდ და მხოლოდ ღვთისაგან. ის შუაკაცობა რომელიც იტვირთა მიხეილ თუმანიშვილმა ერისა და ქვეყნის წინაშე ნამდვილად დასაფასებელია.

მიხეილ თუმანიშვილის, როგორც ტიპური რომანტიკოსის შემოქმედებაში წარმოდგენილია პესიმისტური რომატიზმისათვის დამახასიათებელი ძირითადი მოტივები, თუმანიშვილის პოეზიას ახასიათებს: შეურიგებლობა ანწყო სინამდვილისადმი, მომავლისადმი შიშის გრძნობა და წარსულის გაიდევალება. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბუნების თემას. ბუნებასთან სიახლოვე პოეტს სიმშვიდეს ჰგვრის. ლექსში „ღამე“ იგი წერს:

„მთას მიეფარნენ

მზისა სხივები,

და განიშალნენ

ღამისა ფრთები.

ვით მომღიმარნი საყვარლის თვალნი,

ციოთ ვარსკვლავები ზე დაგვნათიან

და ფუფუნებით ნელნი ნიაგნი

სუნნელებასა გარემოჰქრიან.

წალკოტსა ნაზად

ვარდნი ღვივიან,

ბულბულნიც ტკბილად

ზედ დამღერიან.

კამკამ წყარონი ხეივანთ შორის

იღუმალ ღენით მობუტბუტებენ

და ხმანი მათნი ვით უღერა ჩანგის

შემოგარესა ამუსიკებენ.

მაგრამ უცებ რად

აღმენტო გული?

ნუთუ ჰგრძნო ამაღ

ჟამი აღთქმული?”

(ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:626)

თუმანიშვილმა დაგვიხატა მრავალფეროვანი ბუნების სურათი, სადაც ცის ვარსკვლავები, კამკამა წყარო, სურნელოვანი ვარდი და ენატკბილი ბულბული ბუნების უხილავი კანონით ერთმანეთთან არიან შეხმატკბილებულნი. მის მიერ აღწერილ ბუნებაში სრული ჰარმონიაა.

თუმანიშვილის ერთ-ერთი ლექსი „მოგონება“ ცხადყოფს, რომ მისთვის ბუნების რეალისტური ასახვა უფრო მახლობელია ვიდრე რომანტიკული. აღნიშნულ ლექსში, აღწერილი აქვს გარემო სინამდვილის უკუღმართობა. სადაც უკუნეთი ბნელია დამეფეებული, მაღალ მთებს ღამის საბურველი მოსავს, ხოლო ქალაქი და მისი ცხოვრება ფეხქვეშ არის გათელილი.

„ღრუბელი გადიარა, მაგრამ გარეშე ბნელი

არტყია მთებს უძრავად ღამისა საბურველი;

ფეხქვეშ მოჩანს ქალაქი, ვითა სამარე შავი,

მხოლოდ ერთი ნაცნობი ბუეტავს ცაში ვარსვლავი.

მიყვარს, მთიებო, ღამის შენი თალხი სხივები,

მათ განაღვიძეს ჩემში იღუმალის ფიქრები,
მახსოვს აღმოსვლა შენი, მახსოვს სხვა ტურფა მხარე
მუნ, სადაც ალაზანი ღელვათა მოაქანებს”.

(ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:629)

პოეტს ბუნება რეალური პირდაპირობით აქვს აღწერილი, რომელიც მის სულში თავისებურ გამოცახილს ჰპოულობს. ამ ლექსში კარგად ჩანს თუ როგორ ეხმარება ბუნებასთან დაახლოება პოეტს იღუმალის ფიქრების გაღვიძებაში.

ღრმა პესიმიზმის გამომხატველია ლექსი „უდაბნო“. პოეტს ის რეალობა, რომელშიც იმყოფება უდაბნოდ წარმოუდგება. თავის ბედს უდაბნოში არსებულ ციური ცეცხლით ჩამომწვარ ხეს ადარებს. როგორც ამ ხის დამტკნარი შტოები აღარ აყვავდება, ასევე შეუძლებელია ჩემი დამტკნარი გულის ხელახლად აყვავებაო.

„ვის არ გიხილავთ უდაბნო ბნელი,
სად თვალნი მზისა შუქსა ვერ სჭვრეტენ,
სად ვერანადა მოჰსჩანს ყოველი
და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ?

ვის არ გიხილავთ იქა ხე, მწარედ
გულ-ჩამომწვარი ციურის ცეცხლით
და მაღალს კლდეზედ მართოდ, მწუხარედ
გარდმოკიდული დამტკნარ შტოებით!

ეს არს, მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი!
მეც ეგრეთ ვიქმენ დღეგანამწარი:
ვერლა მეახლოს ტკბილი იმედი,
ვერლა აღყვავდეს მით გული მტკნარი”

(ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:625)

სასწარმკვეთილებაში ჩავარდნილი პოეტი ამბობს, რომ ცხოვრებისაგან დატანჯულს აღარ აქვს არაფრის იმედი და არ მოეპოვება სანუგეშო სიტყვა..

განსაკუთრებულ ინტერესს მიხეილ თუმანიშვილის პოეტურ შემოქმედებაში ლექსი „სალამური“ იწვევს. ლექსში აღწერილი არის დრო, როდესაც სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტი ენდობოდა სოფელს და დრო როდესაც პოეტი უჩივის ცხოვრების ამაოებას. თუმანიშვილი ტკბილად იგონებს იმ დროს, როცა გული „ჯერეთ ზრუნვათათვის არ გაღებოდა“.

„იყო დრო, ოდეს სალამური ჩემად მომლხენი,
შეეხებოდნენ რა ბაგენი მას უნაღველელად,
არაკრაკებდა სიხარულით და ხმანი მისნი

განიბნევოდნენ ყრუსა არეს მოუთმენელად, -
და მხოლოდ ბნელი და დუმილი წყნარისა ღამის
იყვნენ მოწამედ საიდუმლოთ აღტაცებათა,
და მხოლოდ ტკბილი იადონი წალკოტთა შორის
ნარნარ შტვენითა მოჰსძახიდა გულის კვნესათა.

იყო დრო, ოდეს მშვენიერი ესე ბუნება
მიმდევსა მისსა გრძნეულებით გამოაცვებდა,
და დამატკბობდა სიყვარული, თავისუფლება,
და გული ჯერეთ ზრუნვათათვის არ გამღებოდა”,

(ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:626)

პოეტის ცხოვრებაში იყო ბედნიერი წლები, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ჭაბუკი ცხოვრებისგან მომავალშიც ბედნიერებას მოელოდა, მაგრამ მის ცხოვრებაში მწვავე შინაგანი განცდებისა და მიძიმე სულიერი ტკივილების ხანა დაიწყო. მისი ოცნებები დაიმსხვრა. სალამურს, რომელიც ერთ დროს სიხარულის ჰანგებს გამოსცემდა მდუმარება დაეპატრონა.

„იყო დრო... მაგრამ, ჰე მაცთურო ამაოებავ,
რად დამიღენწე ოქროვანი ხატი ოცნების?
რად დამდე ჯაჭვი დამონების? რად მიმიზიდავ
აღელვებაში ამა სოფლის დაუდგრომელის,

სადაც გრილდება მგოსანისა მხურვალე გული,
სადაც ჰსჭკნებიან უწმინდესნი სულის გრძობანი,
სად სალამური მექმნა უღერით დაყრუებული
და უპასუხოდ განიფანტნენ ტკბილნი შტვენანი”.

(ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:626)

ლექსში პოეტურად არის ამეტყველებული ცხოვრებაზე გულგატეხილი ადამიანის შინაგანი განცდა. პოეტმა წუთისოფელი მთელი თავისი სიმკაცრით, სიმუხთლით და უნდობლობით დაგვიხასიათა.

უიმედობას და სასონარკვეთილებას გამომხატავს ლექსი „ჩანგური“.

„რისთვის ჩანგურით ჩემად საკვდავად;
რისთვის აღვიძებ ჩემში სიყვარულს
და განვლილთა დღეთ და სიტკბოებათ
მოგონებასა გულში დამარხულს,
და მას დროს, ოდეს ჩანგურის სიმებს
განუცხადებდი მე თვისსა ჭირებს?
თვალთ დაბინდებულთ ვერღა იხილონ
გაზათხულისა დღენი მაშვენნი,
მოგონებათა ვერ აღადგინონ
სიჭაბუკისა მხიარულ წელნი”.

(ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:628)

იმის გათვალისწინებით, რომ თუმანიშვილის შემოქმედება გამსჭვალულია წარსულზე გოდებით, აწმყოზე გულგატეხილობითა და მომავლისადმი უიმედობით აღნიშნული სტრიქნები სრულიად ბუნებრივია. პოეტი ე.წ. „მიღმა სამყაროსაკენ“ მიისწრაფვის.

მსგავსი ხასიათისაა ლექსი „როდის იქნება შემესხას ფრთები“, რომელშიც პოეტს მოცემული აქვს რეალური და ირეალური სამყაროს თავისებური შეერთება. პოეტი ოცნებობს, რომ ფრთები შეისხას და გადაფრინდეს შორს ამა სოფლიდან, თუმცა

ხვდება, რომ ამით ვერ უარყოფს ამქვეყნიურ ცხოვრებას. რეალური ცხოვრების და ოცნების სამყაროს ასეთი შეერთების ცდა მას განასხვავებს სხვა ქართველი რომანტიკოსებისგან.

„როდის იქნება, შემესხას ფრთები,
გავფრენილავიყო შორს ამა სოფლით,
მუნ სად ცხოვრების ნათელ-მთიები
არ დაბნელდება ჭმუნვის ღრუბელით...
სად სიტბოება არს უსყიდელი
და სიყვარული სულს ათბობს მარად.“

(ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:630)

სევდისა და უკამყოფილების გამომხატველ პესიმისტურ განწყობილებებთან ერთდ მიხეილ თუმანშვილის შემოქმედებაში გვხვდება სიყვარულის მოტივი. პოეტი ცხოვრებაში არსებული სინამდვილის დავინწყების საშუალებად ღვინოსა და დროსტარებას მიიჩნევს. სწორედ ამ მოტივს მიუძღვნა ლექსი „ფიალა“.

„მიყვარს ფიალა სპეკალი,
ოდეს ღვინის ნაპერწკალი
მნათობს, დულს, ელავს მასშიგან
თითქოს ლალის ნათელ-წყალი“.

(ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:628)

მიხეილ თუმანშვილის აზრით ადამიანმა ხანდახან ყოველდღიური სინამდვილე უნდა დაივიწყოს. რადგან რამდენადაც ფხიზელი თვალითა და გონებით აკვირდები ცხოვრებას, იმდენად უფრო მწვავედ განიცდი მის ამაოებას. ლექსი თითქოს შედარებით ლალი ტონითაა გადმოცემული, თუმცა ეს ვერ ცვლის მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელ პესიმისტურ ხასიათს. ტრადიციას არც აქ არღვევს და ლექსს სევდიანი სტრიქონებით ასრულებს:

„მაგრამ ბაგესა გმშრალსა,
უეშხოს, ღიმილ-გამქრალსა,
მონყენით ვუმზერ შორითა,

ვითა ფიალას ნაცალსა”.

(ქართული მწერლობა, ტომი IX, 1992:628)

სამშობლოს სამსახური მიხეილ თუმანიშვილისთვის ის ვალდებულებაა, რასაც იგი საკუთარ თავს უსახავს ლექსში „თუ გსურს გადარჩე“, რომელშიც ვკითხულობთ:

„რაც გიყვარდეს და რაც არის წმინდა
მას შეეწირე, თუ გსურს გადარჩე!
ცოდვის აკვანი დავტოვო მინდა,
სული ვარსკვლავთა ნისლებს გადავცე...
თვით ვერ დაანგრევ სიცოცხლის ჯებირს
ეული მონმე ფერისცვალების,
ტყვე ვარ, სამშობლო ციხეა ჩემი,
ზენამ დახურა ჩემთვის კარები
კმარა! მსოფლიოს კადრებს ფარდები,
მგლოვიარებას ჯვრისას უყურეთ,
მიწას ვარდებად დავებარდები,
რომ გაზაფხული ამცნოს უკუნეთს”.

(თუმანიშვილი, რჩეული ლექსები, 1981:118)

პოეტისთვის სამშობლო წმინდა საფიქარია, რომლისთვისაც მზადაა უყოყმანოდ თავი განიროს. გარდა ამისა, ბოლო სტროფში საგულისხმოა, რომ მსოფლიო კადრებთან შედარებით, პოეტი ხაზს უსვამს ჯვრის მგლოვიარებას, რაც ჯვარცმის სიმბოლიკად მივიჩნით. ჯვარცმის გასიგრძეგანება კი პოეტის აზრით, ბნელში გაზაფხულის დადგომაა ანუ ბნელეთის გამოცოცხლების წინაპირობა.

მიხეილ თუმანიშვილის პოეზია არ გამოირჩევა მუსიკალური რითმებით, არც მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა სიუხვით ხიბლავს მკითხველს, თუმცა გადავწყვეტეთ, რომ ორიოდ სიტყვით, მაინც შევაფასოთ მისი პოეტიკა. კერძოდ, აღვნიშნავთ, რომ პოეტის საყვარელი მხატვრული ხერხი გახლავთ შედარება, რომელსაც იგი თითქმის ყველა ლექსში მიმართავს, მაგალითად:

„სად სიხარული, ვით წყარო ნელი

მომდინარეობს დაუსრულებლად“

(„როდის იქნება შემესხას ფრთები“)

ქართული მწერლობა, 1992, ტომი IX, გვ-630

ან კიდევ: „ ფეხ-ქვეშ მოჰსჩანს ქალაქი, ვითა სამარე შავი“ („მოგონება“, ქართული მწერლობა, 1992, ტომი IX, გვ-629)

ცხადია, თუმანიშვილის პოეზიაში უხვად გვხვდება ზოგადად ყველაზე გავრცელებული მხატვრული ხერხი ეპითეტი, მაგ: კამკამ წყარონი

(„ღამე“, ქართული მწერლობა, 1992, ტომი IX, გვ-627)

„უდაბნო ბნელი“ („უდაბნო“ ქართული მწერლობა, 1992, ტომი IX, გვ-625)

შიგადაშიგ გვხვდება რთული ორ და მეტ სიტყვიანი ეპითეტებიც მაგ:

„გულ-ჩამომწვარი ციურის ცეცხლით“ („უდაბნო“ ქართული მწერლობა, 1992, ტომი IX, გვ-625)

ან კიდევ: „მაგრამ ბაგესა გამშრალსა, უეშხოს ღიმილ-გამქრალსა“ („ფიალა“, ქართული მწერლობა, 1992, ტომი IX, გვ-628)

ლექსების შესწავლისას შეგვხვდა მხატვრული ხერხი გრადაციაც, როცა პოეტი შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ემოციურად ზრდის სათქმელს, მაგალითად:

„ სადაც გრილდება მგოსანისა მხურვალე გული,
სადაც სჭკნებიან უნმინდესნი სულის გრძნობანი,
სად სალამური მექმნა უღერით დაყრუებული”...

(„სალამური“)

(ქართული მწერლობა, 1992, ტომი IX, გვ-626)

ბუნების თემაზე შექმნილ ლექსებში თუმანიშვილთან გვხვდება მომხიბვლელი მხატვრული ხერხი განპიროვნება, როცა ბუნების მოვლენებს მიწერილი აქვთ ადამიანური თვისებები, მაგალითად:

„კამკამ წყარონი ხეივანთ შორის
იღუმალ ღენით მობუტბუდებნენ“

(„ღამე“)

(ქართული მწერლობა, 1992, ტომი IX, გვ-627)

იმის მიუხედავად, რომ მიხეილ თუმანიშვილიც სხვა რომანტიკოსების მსგავსად აქცენტს სათქმელის შინაარსზე აკეთებს და ფორმისეულ ელემენტებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს, მის ლექსებში აქა-იქ მაინც გვხვდება სიტყვაკაზმული სახეები.

აღსანიშნავია, რომ პესიმიზმთან ერთად თუმანიშვილის პოეზიაში ხანდახან იმედიანი განწყობილებაც იჩენს თავს. ერთ უსათაურო ლექსში, პოეტი „ნუგეშცემული“ და დამშვიდებული ადამიანის სახით წარმოგვიდგება:

„და დაამშვიდე გრძნებისა ძალით
სულისა ჩემის აღრეულობა
და ნუგეშცემით და სასოებით
განჰსდევნე ფიქრთა შეცდომილება,
„... და ან უკეთუ ოდესმე ხელნი
შეეხებიან ჩანგის ალყას,
მყის თვალით მომივლენ სიამის ცრემლნი
და ენა აქებს თავისუფლებას!“

შეიძლება ითქვას, რომ თავისი განწყობილებებით მიხეილ თუმანიშვილი უახლოვდება ჩვენს დიდ რომანტიკოსებს. ეს განაპირობა იმან, რომ ისინი მოღვაწობდნენ ერთსა და იმავე ეპოქაში, სადაც ლიტერატურული ტენდენციები ერთსა და იმავე სოციალურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ასეთი მსგავსების მიუხედავად, მიხეილ თუმანიშვილის პოეზიის თემატიკა, მაინც შეზღუდულია. მწერლის პოეტური ხედვა ძირითადად მიმართულია საკუთარი ემოციური სამყაროსკენ.

„თუმანიშვილი წერდა რუსულ ენაზეც. მისი რუსული ლექსები, გრაფ გორსკის ხელმოწერით, მოთავსებულია „თბილისის გიმნაზიის ყვავილში“. ასეთებია: „პოეტი და ზემთაგონება“, „ელეგია“, „განმარტობა“, „კავკასია“, „მეგობარს“ და სხვა. ამ ლექსებში ჭაბუკი ავტორი ცხოვრებაზე გულგატეხილი და პესიმიზმით შეპყრობილი ადამიანის პოზაში წარმოგვიდგება.

მიხეილ თუმანიშვილის ლექსებში აშკარად იგრძნობა პუშკინის გავლენა როგორც თემატიკის ისე ფორმის მხრივ. პუშკინის სტანსებს ეხმაურება მიხეილ თუმანიშვილის

ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი რუსულ ენაზე - „ელეგია“. პუშკინის „კავკასიის“ მიბაძვითაა გაცოცხლებული კავკასიონის ზვიადი ბუნება თუმანიშვილის ანალოგიური სახელწოდების ლექსში.

თუმანიშვილის ორიგინალური ლექსები მრავალრიცხოვანი არაა. უმეტესი მათგანი გამოიცა 1881 წელს მწერლის შვილის - გიორგი თუმანიშვილის ინიციატივით“ . (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი III, 1969:206-207)

თავი IV

მიხეილ თუმანიშვილის საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ

მოღვაწეობა

მიხეილ თუმანიშვილის, როგორც პუბლიცისტის მოღვაწეობა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაიწყო. 1833 წელს მან გამოსცა ქართული ჟურნალი „ალმანახი“. თუმანიშვილმა მისივე ინიციატივით და ხელმძღვანელობით გამოცემულ ჟურნალში „თბილისის გიმნაზიის ყვავილში“ ფართო გასაქანი მისცა კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის. მისი სტატიები ძირითადად ქვეყნის ჭირ-ვარამის ასახვას და ერის საჭირობო საკითხების დასმას ემსახურებოდა. მიხეილ თუმანიშვილი არამხოლოდ ამ საკითხების დასმით კმაყოფილდებოდა, არამედ ქვეყნის საკეთილდღეოდ მისი გადაჭრის გზებსაც ეძებდა.

„თბილისის გიმნაზიის ყვავილში“ მოთავსებულია მისი „სალამო გორის გზაზე“, მოთხრობა „კობის ციხე“, „შეხედულება ძველი მსოფლიოს ამბებზე“, მის მიერ სოლომონ დოდაშვილიდან თარგმნილი - „ერეკლე მეორის მეფობა“ და „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“. იმის მიუხედავად, რომ ავტორი ამ პერიოდში მეტისმეტად ახალგაზრდაა აღნიშნულ ნაწარმოებებში, ის მომავალი დაფიქრებული პუბლიცისტის, ცხოვრების ავ-კარგის გარჩევის მოტრფიალე, ძიების დაუცხრომელი უნარისა და დიდი ენერჯის მქონე პიროვნებად წარმოგვიდგება. პიროვნებად, რომლის შემოქმედებაც სავსეა სამშობლოს ტკივილით გამოწვეული გულწრფელი ფიქრებით, განცდებით და ემოციებით.

მიხეილ თუმანიშვილმა აქტიურად დაიწყო ქართული ეროვნული კედლების გამაგრება. ის პირველი იყო, ვინც თავის უფლებებში უკვე დავიწყებული სიტყვა „მამული“ აღადგინა. მისი მოღვაწეობა ერთი მხრივ ქართული ეროვნული კულტურის მდიდარ წარსულს, მეორე მხრივ - რუსეთის კულტურას, რუსული აზროვნების მონაპოვარს დაეყრდნო და სწორედ ამიტომ შეძლო გამხდარიყო მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლის - ილია ჭავჭავაძის წინამორბედი.

მიხეილ თუმანიშვილი იმ თავადებს შეუერთდა, რომელნიც ბატონყმობის მოსპობისათვის სამზადისის დასაწყისს დაუფიქრებლად მიესალმნენ. გლეხთა

მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ იგი თავის მოსაზრებებს გამოთქვამდა თითქმის ყველგან, სადაც კი ამის საშუალება ჰქონდა. თავადთა დიდი ნაწილისგან განსხვავებით, რომელნიც „თავიანთი მამულის“ იქეთ ვერაფერს ხელავდნენ თუმანიშვილი ბატონყმობის გაუქმების საკითხს ვიწრო წოდებრივი ინტერესებით არ უყურებდა. მან დაიწყო სამზადისი რეფორმისთვის. გაეცნო უახლოეს ნაწარმოებებს მონათმფლობელობაზე. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბატონყმობის საკითხში ოფიციალურად პუბლიცისტიკაში თვით ილია ჭავჭავაძეც კი მიხეილ თუმანიშვილზე წინ არ წასულა.

განსაკუთრებული ადგილი მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებაში „სალაყბო ფურცელს“, უჭირავს. შეიძლება ითქვას, რომ „სალაყბო ფურცელი“ არის გვირგვინი არამართო მიხეილ თუმანიშვილის ეროვნული შეხედულებებისა, არამედ 50-იანი წლების საქართველოს პროგრესული აზროვნებისაც.

მიხეილ თუმანიშვილი არის პირველი ქართველი პუბლიცისტი, რომელმაც ქართული პრესის ფურცლებზე, ივანე კერესელიძის „ცისკარში“, ქვეყნისთვის საჭირობო საკითხები დასვა. თუმანიშვილის გამოჩენამდე „ცისკარი“ კრიტიკას საერთოდ არ სცნობდა, უფრო მეტიც, გადაგვარების გზაზე დამდგარ ეროვნულ გრძნობადაკარგულ თავადაზნაურობას ყოველ უწყინარ შენიშვნებზეც კი ბოდიშებით ელოლიავენოდა, ამ ყველაფრის გათვალისწინებით თუმანიშვილის ფელეტონებს ძალიან დიდი მნიშვნელობა და დატვირთვა ჰქონდა.

მართალია მიხეილ თუმანიშვილის პოეზიაზე დღემდე სხვადასხვა აზრი არსებობს, მაგრამ მისი „სალაყბო ფურცლის“ დიდ მნიშვნელობას ქართული კრიტიკული აზროვნება იმთავითვე თითქმის ერთხმად აღიარებდა.

„ამას წინათ - 1858 წელს პეტერბურგიდან წერდა ილია ჭავჭავაძე გაბრიელ სულხანიშვილს, რომელიც შეცდომით „სალაყბოს ფურცლის“ ავტორი ეგონა, - მგონია შენი სტატიები იყო „ცისკარში“ და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი. კარგი რამ იყო, რაც კი შეეხება ენას, სწორედ ფენომენი იყო ჩვენს ჰორიზონტზედ. ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი-მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვილათ დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარვად დაიწყო

ქართველის უბედურებაზე დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯარაზზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით გკითხულობდით მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა საჩქაროდ გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი „ცისკრის“ ნომრები, სადაც მოლაყბეს ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათაშორის“. (რამიშვილი,1957:132)

აკაკი წერეთელი მიხეილ თუმანიშვილს საზოგადოების კარგ მასწავლებლად და დიდი სარგებლობის მომტანად მიიჩნევს. მის შემოქმედებას უცხოური სახელებითა და სიტყვებით მორახუნე ფილოსოფოსების შეხედულებებზე მალლა აყენებს. იგი ამბობს: „დღეს, თქვენი ჭირიმე, ვილაცეები კარგი მასწავლებლები გამოუჩნდნენ ქართველ საზოგადოებას. განსაკუთრებით ერთი მოლაყბე გამოჩენილა და, მართალია, ლაყბობას კი ეძახის თავის სტატიებს, მაგრამ ამას უფრო სარგებლობა მოაქვს იმისის ლაყბობით, როგორც თვითონ უწოდებს, ვიდრე იმ ფილოსოფოსებს, რომელნიც ხან ინახათ ჯდებიან გორს, და ხან ათინა, რომი და ევროპა შესძრენ თავისი ფილოსოფიით“. (რამიშვილი,1957:133)

ასეთივე მაღალი შეხედულებისაა „სალაყბო ფურცლის“ შესახებ ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც ამ „მახვილი და მარტივი ენით დაწერილ“ ფელეტონებს მომაკვდავი ჟურნალის („ცისკრის“) სულისჩამდგმელად სახავს. ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა : „1857 წელს იგი დაუბრუნდა ქართულ ლიტერატურას, მიიღო მონაწილეობა ჟურნალ „ცისკარში“, სადაც მას ეკუთვნის პუბლიცისტური წერილები სათაურით „სალაყბო ფურცელი“. ამ ფელეტონებს, მახვილი და მარტივი ენით დაწერილს, დიდი გავლენა ჰქონდა მკითხველ საზოგადოებაზე და მომაკვდავ ჟურნალს სული ჩაუდგა. სალაყბო ფურცელში იგი ეხება სხვადასხვა საჭირბოროტო საგანს და მათ შორის გამოდის მხურვალე დამცველად ქართული ენისა და მწერლობისა.(რამიშვილი,1957:133)

გ. სულხანიშვილის აზრით, მიხეილ თუმანიშვილის წერილები „ასეთი კარგნი იყვნენ, რომ მრავალი მბაძავნი გაიჩინეს და იმ მიმბაძავებმა „მოლაყბის“ სახელით დაიწყეს წერა, მაგრამ ეს მიმბაძავნი იმ პირველ მოლაყბესთან გროზადაც არ ღირდნენ“. (რამიშვილი,1957:133)

ანტონ ფურცელაძე „სალაყბო ფურცელს“ დანიელ ჭონქაძის შემოქმედების წინამორბედად და იმ ბრძოლის დამწყებად მიიჩნევს, რომელიც შემდეგ ახალ და ძველ თაობას შორის გაიშალა: „დაარსებიდან „ცისკრისა“ ამ დრომდინ - ამბობს ის - ეს ჟურნალი არ შეხებია არცერთ იმისთანა საგანს, რომელსაც მოითხოვდა დროების საჭიროება... ჩვენი დაჭმუხებული პატრიოტები მაშინვე პირში ეცემოდნენ, ან არა და მაშინვე ყოველს ღონისძიებას იხმარებდნენ, რომ ხელი შეეკრათ და, თუ საქმე გაჭირდებოდა, სიკვდილსაც უქადიდნენ უბედურს მართლის მოქმელს. რასაკვირველია, გეხსომებათ, ის დრო, როდესაც ჩვენი გულდამწვარი ზოგიერთა პირნი მოლაყბის მართლის ლაპარაკითა, უპირებდნენ იმას ხიდიდან გადაგდებასა და გეხსომებათ კიდევ რა რიგი აღრეულობა მოახდინა იმის „სალაყბოს ფურცელმა“. მოლაყბე კარგად იცნობდა ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ ვერა ბედავდა ყოველის წარმოთქმასა და ლაპარაკობდა უფრო იგავით; ძალღსა სცემდა და პატარძალს ასმენდა... მაშინ უცებ გამოდგა ასპარეზზედ დ. ჭონქაძე „სურამის ციხით“... დასცა საშინელი ელდა და მოსწყვიტა წელეები დავარდნილს ხალხსა და ძველის აზრების პატრონებსა... ბატონები ოსმან-ალასი დარჩენ პირლიანი“. (რამიშვილი, 1957:134)

ახალ და ძველ თაობებს შორის ბრძოლის დამწყებად მიიჩნევს მიხეილ თუმანიშვილს არჩილ ჯორჯაძეც. ეხება რა მოლაყბის „ცისკრის“ რედაქციიდან გაძევებას, გაბედული გამოსვლის გამო, ის ამბობს: „საიდანღაც მოჰბერავდა თავისუფლების სიო და რაც უნდა ჩაეკეტა კარ-ფანჯარა ჩვენს რედაქციას, ამ სიოს ქროლვა მასაც ხვდებოდა, რადგან გაძევებულმა მოლაყბემ ფართო წრეებშიც კჳოვა თანაგრძნობა“. მისი აზრით, „ცისკარს“ დიდი სამსახური გაუწია მოლაყბემ... რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჟურნალში და გამოაცოცხლა იგი“. (რამიშვილი, 1957:134)

ლევ. ასათიანი „სალაყბო ფურცლის“ შესახებ წერს: „ვერც ერთი კრიტიკოსი ჩვენი თეატრისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისა - გვერდს ვერ აუვლის მის რამდენიმე წერილს... როგორც პუბლიცისტი, იგი არ შეუშინდა თავისი დროის ფეოდალურ წრეების რისხვასა და პირველი მიესალმა ბატონყმურ ინსტიტუტის გაუქმებას, მაგრამ ამასაც არ დასჯერდა და მახვილი პუბლიცისტური შეურიგებლობით თავს დაესხა ჩვენი

იმდროინდელი ცხოვრების სიღუბეჭირეს, სოციალურ უსამართლობას, ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნილილიზმსა და გადაგვარების ტენდენციებს. თავისი გესლიანი „ფელეტონებით“, რომელთაც იგი მოლაყბის ფსევდონიმით ბეჭდავდა „ცისკარში“, მიხეილ თუმანიშვილი დასცინოდა ჩვენი თავადაზნაურობის რეაქციულ „ნაწილს“ და მოუწოდებდა ქართულ საზოგადოებას ეროვნული „გათვითცნობიერებისა და კულტურული აღორძინებისაკენ“. (რამიშვილი,1957:135)

უაღრესად დადებით შეფასებას აძლევს რა „სალაყბო ფურცელს“ „პროფესორი შალვა რადიანი იმ სიახლოვეზეც მიუთითებს, რაც მიხეილ თუმანიშვილსა და ახალ თაობას შორის არსებობდა. „განსაკუთრებულია მიხეილ თუმანიშვილის დამსახურება ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში. თავის დროზე მისმა მახვილმა და ღრმა აზრების შემცველმა ფელეტონებმა - „სალაყბო ფურცელმა“ - უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველ საზოგადოებაზე... ასეთმა დაურიდებელმა მამხილებელმა გამოსვლებმა შეარყიეს უმოძრაო ატმოსფერო. მიხეილ თუმანიშვილის გამოსვლა დიდად მოსწონდათ ახალი, მოწინავე თაობის წარმომადგენლებს“. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე პ. გუგუშვილი წერს : „მოლაყბემ მალე მოიპოვა პოპულარობა. „შვილები“ მას თავის კაცად სთვლიდნენ, „თერგდალეული“ კიდევ აღნიშნავს, რომ „ცისკარში“ თუ რამ მოსაწონი ურევია, ეს მოლაყბის წყალობითაა“. (რამიშვილი,1957:134)

საყურადღებოა, რომ „მამათა“ და „შვილთა“ გაცხარებული ბრძოლის დროსაც კი „ცისკარზე“ თავდამსხმელი თერგდალეულები მხოლოდ მოლაყბეს აქებენ. მაშინ, როდესაც ახალი თაობა „თერგდალეულების“ სახით, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გამოვიდა სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე და შეუპოვრად ასწია მალლა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ღრმმა, „ცისკრის“ ლაყბობას თავისი ისტორიული მისია უკვე შესრულებული ჰქონდა.

თუნდ არ ყოფილიყო „სალაყბოს ფურცელი“, თუმანიშვილის მხოლოდ წერილებიდანაც ნათლად ჩანს სახე რეალისტურად მოაზროვნე მწერლისა, რომელიც კრიტიკული რეალიზმის სიმაღლეზე ავიდა და გადაჭრით მოითხოვა ტიპიური გმირის, ტიპიური მოვლენის ტიპიურ გარემოში ასახვას.

პუბლიცისტმა ჯერ კიდევ 1852 წელს გაზეთ „კავკაზში“ (N-41) მოათავსა რეცენზია, სათაურით „მიხაკო და ნინა“, რუსი მწერლის მ.ლივენცოვის მოთხრობაზე „ქართული იდილია“. სადაც რეცენზენტი ლიტერატურას აფასებს როგორც სინამდვილის რეალისტური ასახვის საშუალებას. იგი წერს: „ჩვენს დროში პოეზია ხომ იქ არის, სადაც ჭეშმარიტებაა; ჩვენს დროში მეოცნებე პოეზიამ ადგილი დაუთმო უბრალოსა, მაგრამ თავისი უბრალოებით მაღალსა და შთაგონებულ არსებითს. ამჟამად ჩვენ გვიტაცებს დიკენსი, გოგოლი, გესნერისადმი ჩვენ რწმენა დაგვკარგეთ“.(ჭუმბურიძე, 1974:98)

დიკენსის, გოგოლის და გესნერის დაპირისპირებით მიხეილ თუმანიშვილი ერთმანეთს უპირისპირებს რეალისტურსა და სენტიმენტალისტურ-რომანტიკულ მიმართულებებს. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებებს მხოლოდ რეალისტური ხელოვნება პასუხობს.

ლივენცოვის ნაწარმოების შესწავლისას მიხეილ თუმანიშვილი მიუთითებს, რომ ეს „იდილია“ პრიმიტიულია; ავტორი არ იცნობს ადგილობრივ ყოფას, ტრადიციას, ზნე-ჩვეულებებს; ამ ყველაფერს ის დამახინჯებულად გადმოგვცემს. რეცენზენტი ამბობს: „რატომაა ეს ქართული იდილია?“ მწერალი მარტივი დაკვირვების უნარსაც ვერ იჩენს. ლივენცოვი ვერ გვაძლევს ქართველი გლეხის ტიპს; მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ნინას მამა დიმიტრი, არაფრით არ ჰგავს ჩვენებურ გლეხს: „...მის ვერც ძალზე მდიდრულ ტანსაცმელში, ვერც ხასიათში, ვერც მეტყველების მანერაში თქვენ ვერ იცნობთ ქართველ გლეხს, ხოლო მისი ბინის მოწყობილობაში, რომელიც წარმოადგენს აზიურისა და ევროპულის რაღაც ნარევს, თქვენ ვერ იცნობთ ქართულ სოფლურ სახლს“.(ჭუმბურიძე,1974:99)

შემდეგ რეცენზენტი კიდევ უფრო აზუსტებს თავის მსჯელობას: „თქვენ იცნობთ ქართველ გლეხს, როგორც უბრალო ადამიანს და ბუნებით საკმაოდ ჯიუტს, რომელიც გარკვეულ შემთხვევაშიც კი, როდესაც დოვლათი გააჩნია, თავის თავს ფუფუნების ნებას არასოდეს მისცემს, ამიტომ თქვენ უფლება გაქვთ ყალბად მიიჩნიოთ ფერები, რომლებშიც იდილისტმა გლეხი წარმოგიდგინათ. ხოლო თუ ვინმე დაინწყებს მტკიცებას, რომ არსებობენ, ასეთი სოფელიც და ასეთი ტიპებიც, მაშინ თქვენ გაბედულად უპასუხებთ მას, რომ ისინი ან საერთოდ არ არსებობენ, ანდა შეიძლება

არსებობენ სადმე, მაგრამ გამონაკლისის სახით, და რომ ასეთი სოფელი და ასეთი ტიპები არასოდეს არ მოგვცემენ ნამდვილ წარმოდგენას საერთოდ არც ქართულ სოფლებსა და არც ქართულ ტიპებზე“. (ჭუმბურიძე,1974:100)

ქართულ მწერლობაში მიხეილ თუმანიშვილი არის პირველი კრიტიკოსი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ტიპიურობის საკითხის მნიშვნელობა და იზიარებს ტიპიურის შესახებ იმ დროისათვის უკვე საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას.

მიხეილ თუმანიშვილი აცხადებს, რომ როცა ლაპარაკობს ლივენცოვის მოთხრობაზე, მას მხედველობაში ასეთივე ღირსების სხვა ნაწარმოებებიც აქვს. „კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე უკვე ბევრი იწერება. ეს მისასაღმებელია, რადგან ბელეტრისტიკას შეუძლია მოიტანოს დაუფასებელი სარგებლობა. რასაც სამეცნიერო ლიტერატურა ჩვენ გადმოგვცემს მშრალი, თუმცა სწორი ფაქტებით რომელიმე ადგილის, მასზე დასახლებული ხალხის შესახებ, მისი შინაგანი და ისტორიული ცხოვრებით, მას ბელეტრისტიკა გაამშვენებს და მოსაფს ცოცხალი ფორმებით. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი თხზულება, გარდა ახუნდოვის კომედიებისა, არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რადგან მათ ავტორებს აკლიათ მთავარი, „რაც უნდა იყოს ყოველი ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, არ აქვთ მხარის უშუალო, ნამდვილი ცოდნა, მათ ვერ მოახერხეს თუ არ მოინდომეს, გაეცნოთ იგი, ჩანვდომოდნენ ღრმად მის შინაგან ცხოვრებას“. (ჭუმბურიძე,1974:100)

რეცენზენტის აზრით მსგავსი რომანები კავკასიაზე სწორი წარმოდგენის შექმნას ხელს უშლიან. მიხეილ თუმანიშვილს ესმოდა, რომ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ასე ეგზოტიკურად დანახვა აფერხებდა რეალისტური ტენდენციების განვითარებას, როგორც რუსულ, ასევე ქართულ მწერლობაში. ამ ერთ-ერთ პირველ დაბეჭდილ რეცენზიაში გამოვლენილი თვალსაზრისი, გასდევს მიხეილ თუმანიშვილის ყველა მომდევნო წერილს. ავტორი ბოლომდე რეალისტური ხელოვნების დამცველად რჩება.

საგულისხმოა, რომ მიხეილ თუმანიშვილის დაახლოება რეალურ ცხოვრებასთან ეპოქამ და ამ ეპოქაში არსებულმა აუცილებლობამ განაპირობა. რეალიზმი მისთვის მხოლოდ შემოქმედებითი მეთოდი არ იყო. იგი რეალიზმს ყოველდღიური

ცხოვრების სახელმძღვანელო დებულებად მიიჩნევა. „რასაც უნდა ლაპარაკობდნენ იდეალისტები, მაინც, უპირველეს ყოვლისა, სინამდვილეა საჭირო“. - აცხადებს თუმანიშვილი. (რამიშვილი, 195:170)

„ცისკარში“ „სალაყბო ფურცლის“ განყოფილების შექმნით მიხეილ თუმანიშვილმა სამშობლოს დიდი სამსახური გაუწია. მასში დასმული საჭირობოროტო საკითხები მკვეთრად ასახავენ ეპოქის მაჯისცემას. ამიტომ ვინც ეპოქის შესწავლით დაინტერესდება ის გვერდს ვერ აუვლის „სალაყბო ფურცელს“.

„მიხეილ თუმანიშვილის ფსევდონიმი „ცისკარის“ მწერლებმაც აიტაცეს და „სალაყბო ფურცელში“ მოაქციეს ყველაფერი ის, რაც კი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ განვითარებას წინ ეღობებოდა. „მოლაყბის“ ფსევდონიმს ამოაფარეს კრიტიკა ყოველი დრომოჭმულის, ცხოვრების გაჯანსაღებისადმი მიმართული ღონისძიებათა ხელის შემშლელის. „მოლაყბემ“ გაუხსნა მაღა ყველას, ვინც კი კალმის ხელში აღებას არასოდეს არ აპირებდა. „მოლაყბის“ სახელით დაიღო სამსჯავრო სასწორზე მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებები, თვისებები. „მოლაყბის“ სახელმა მიიტანა პირველი იერიში რეაქციულ-კონსერვატორულ ციხე-სიმაგრეზე და გამოაღვიძა მისი მკვიდრნი, რომელნიც საუკუნოებრივ თვლემას ჩვეულნი, არცთუ ისე ადვილად აპირებდნენ გამოფიხილებას. „მოლაყბე“ გადაიქცა კულტურული ცხოვრების ცენტრად, მის ირგვლივ ირაზმებიან მომხრენი და მოწინააღმდეგენი, ყველა ცდილობს რაიმე ურთიერთობა დაამყაროს მასთან - მოუწონოს, წაახალისოს, ან დატუქსოს და სამუდამოდ დაადუმოს“. (რამიშვილი, 1957:172)

მიხეილ თუმანიშვილმა „სალაყბო ფურცელის“ დახმარებით პირველად აამოძრავა ის ჭაობი, რომლის ამოძრავება ილია ჭავჭავაძეს რამდენიმე წლის შემდეგ მეორედ მოუხდა. მას პირველად აუმხედრდა ძველი, მყუდროების მოტრფიალე და სიახლის მოძულე პლეადა, რომელმაც თუმანიშვილის შემდეგ ილია ჭავჭავაძის ჩაქვავება სცადა ზუსტად ისეთივე „ცოდვისათვის“, როგორც მიხეილ თუმანიშვილს მიუძღოდა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მათი პასუხები, რომლებიც თავდამსხმელთაღმი იყო მიმართული თითქმის ერთგვარად იწყება.

თუმანიშვილმა მოწინააღმდეგეთა დმი მიმართული პასუხი ასე დაიწყო: „ტყუალად კი არ არის ქართულად ნათქვამი „რაც მგელმა ცხვარს დააკლო, რაც არა, მწყემსმა უარესი ენაო“. ერთი ესლა მაკლდა! ჩემს საზოგადოებას ვუჩივოდი...და არა მხოლოდ ტფილისში, როგორც საქმითგანა სჩანს, გადაკარგულს ეშმაკმა იცის, რომელი ქვეყნის კუთხეში, გამოჩენილან ჩემი უკანმდეველნი! - ვნახოთ დღეის ამას იქეთ ახლა საითგან დაიწყებენ ჩინებულის წოდების განმეორებასა-„მოლაყბევ“!.. (რამიშვილი, 1957:173)

ილიას პასუხი თავის „კრიტიკოსებისადმი“ კი ასე იწყება: „ბარაქალა“, ჩემო სტატიავე, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც აალებინე; ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ თავის დღეში არ გაუგია, იმას მართლის თქმით გული აუმღვრიე; ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთ სტატიაზე რა ამბავია?“. (რამიშვილი, 1957:173-174)

საგულისხმოა, რომ შემდეგ, მიხეილ თუმანიშვილმა თავდამსხმელთა წინააღმდეგ იუმორი აიჩრია, მასხარად აიგდო მოპირდაპირეთა უცოდინარობა.

„...ჩემი საუბარი - განაგრძობს მიხეილ თუმანიშვილი, - როგორცა ჩანს, ქართველთათვის, იმგვარ ქართველთათვის, რომელნიც ემსგავსებიან უფალთ ბერიძეებთ, გაუგონარია, სწორედ იტალიანურს უნარს ემსგავსება, იმ ენას და იმ დუღუკზე სიმღერას, რომლითაც ვართ აღტაცებაში მაიმუნების მსგავსად. დაგვიღია პირი, შევყურებთ, თითქოს გვესმოდეს რამე და სრულებით - არათუ გვესმის, გაგებაც არა გავექვს!...ბერიძის სტატიის პირველსავე სიტყვაში იმისთანა რალაცაებიც გამოუყვანია, რომ არ არის მოსათმენი. აბა, რა მოსათმენია რომ სოკრატის მსგავსად ასულა მეცნიერების ტახტსა ზედა და იქიდან, ვითარცა მოწაფისა თვისისადმი, შემასწავებს სხვათა დიდსა საგანთა მნიშვნელობას.. ვახსენებთ სხვათა და სხვათა ენის ხალხთა უპირველესთა მწერალთა და აქამომდინ ის კი არ ვიცით, რომ ყოველნი განათლებულნი ხალხნი იმასა ცდილობენ, დაწერონ ყოველთათვის გასაგონს ენაზედ...უფ.ბერიძე გვაყვედრის, რომ გესაუბრებით, საყვარელნო მკითხველნო, ქართული ენის სიყვარულზედ... როგორ შეიძლება ამისთანა კაცი იყოს, რომელიც იძახდეს, ნურც ენას, ნურც მამულს, ნურც ზნეობას ახსენებო.. გმადლობთ, ჯაგის ფეხებზე დამყენებელო, ოსეთის მხარის განმანათლებელო!... ინებეთ, თქვენო გონიერების

წყაროვ, შემწეობა ენისა, რომელიცა შენისავე წყალობით დაცემულია!.. ბერიძესა ჰგონია...იმისი პლატონ ფილოსოფიურის კალმის ჩხაბა ააყენებს დაცემულ ლიტერატურას“...(რამიშვილი,1957:-174)

მიხეილ თუმანიშვილის არა ერთგზის და კატეგორიული მოითხოვა იყო, რომ ხალხისათვის გაუგებარი სიტყვების მობრაზუნებმა თავი დაანებონ „ჩხიბვას“, იგივე აზრი ილიას ასე აქვს განვითარებული: „მეც იმიტომ ასე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს; რადგანაც იგინი თავის ბლაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას“. რამიშვილი,1957:176)

ილიას ამ ცნობილი „პასუხის“ შემდეგ მიხეილ თუმანიშვილმა დაწერა „სალაყბოს ფურცელი“. აქ იგი დაეთანხმა მას და თავის ძალ-ღონის შესაბამისად, განამტკიცა ილიას პოზიცია: „თუ „ცისკარი“ ცუდია, ისევ თქვენით, ყვავებო, ფარშევანგის ფრთითა, ბულბულებო, ყორნის ჩხავილითა“, - წერდა ილია ჭავჭავაძე. „ცისკარი“ კი არ არის ცუდი, მანათობელი მზეა, ჩვენ „მჩხიბავები“ ვართ ცუდები“, - ამბობს მიხეილ თუმანიშვილი, მოითხოვს, რა ცოცხალ, სასაუბრო ენას ნაცვლად „თარგამოსის“ ენისა.

გარდა ეროვნული და სოციალური საკითხებისა, „სალაყბოს“ ფურცელში განხილული და დაგმობილია, როგორც ზევით ვთქვით საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის შემფერხებელი მრავალი საყოფაცხოვრებო ხასიათის ჩვეულება: ქალაღდისა და ლოტოს თამაში, ქარაფშუტობა, მოდებით გატაცება, ჭორიკანობა, ოჯახისა და მეურნეობისადმი უყურადღებობა, მექრთამეობა, პირადი ინტერესის საზოგადოებრიობაზე მალლა დაყენება, უსამართლო სამართალი და სხვ“. (რამიშვილი,1957:176)

„სალაყბო ფურცლის“ მაშინდელი მკითხველი მიხეილ თუმანიშვილის ფელეტონებს სხვა ავტორების სტატიებისაგან ადვილად არჩევდნენ, რადგან თუმანიშვილი ეროვნულ-სოციალურ საკითხებს აყენებს და მთელი თავისი შესაძლებლობით მხოლოდ მათ გადაჭრას ლამობს. რაც შეეხება „სალაყბო ფურცლის“ გვერდებზე გამოქვეყნებულ სხვა საკითხებს (მოდის კაბები, ლოტოს თამაში და სხვა) თუმანიშვილის ფსევდონიმის სხვა გამომყენებელთ ეკუთვნით. ამიტომ

მკითხველი „სალაყო ფურცლის“ სისტემატურად ბეჭდვის დროსაც კი დაუინებით მოითხოვდა მოლაყბის გამოჩინას.

ეროვნული საკითხის განხილვა მიხეილ თუმანიშვილმა საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგების ანალიზით დაიწყო. მან „სალაყო ფურცლის“ პირველ წერილშივე განმარტა, რომ რუსეთის საქართველოში დამკვიდრებამ ქვეყანა აღორძინების გზაზე შეაყენა.

„სად იყო ჩვენს ტფილისის ქალაქში - კითხულობს მიხეილი - ამისთანა მშვენიერი სახლები, როგორთაც ახლა ვხედავთ? სად იყო ჩვენს ქალაქში ამისთანა ჩინებული ხიდი, რომელიცა აღშენდა მტკვრის მდინარეზედ? სადაცა ყოფილა ადრე საბძელი, იქ ვხედავთ სამსა და ოთხ ეტაჟიან სახლებს. სად იყო ადრე ქართული ტეატრი? მგონია სახელიც არ იცოდნენ ამ უცნაურის საგნისა“. (რამიშვილი, 1957:179)

მიხეილ თუმანიშვილის აზრით, რუსეთის მფარველობის შედეგად ჩვენი ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „რუსეთმა მოგვცა ჩვენს სამშობლო ენაზედ ტეატრი; მოგვცა ჩვენ სამშობლო ენაზედ ჟურნალი, გახსნა ვაჭრობა ოთხკუთხივ“. მიიჩნევს, რომ ჩვენში შემოქმედებითი შრომა რუსეთის წყალობით გახდა შესაძლებელი: „აბა, რომელი მტერი ანუხებს ჩვენს მყუდროებით მდგომარეობასა? აბა რომელი ბარბაროსი მაჰმადიანი ატყვევებს ჩვენს ცოლს, გინა შვილს, ნათესავს და სხვა. მსგავსად აღრინდელის მეფობის დროებისა, რომლშიაც კაცი არ იყო, რომ გადარჩენოდა ამისთანა უსაშინლეს ხვედრსა. ან სწავლისათვის ვისა სცალოდა, ან წერისთვის?“ (რამიშვილი, 1957:179)

მიხეილ თუმანიშვილის დასკვნით, საქართველოს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მდგომარეობის საკითხი სამუდამოდ გადაჭრილია. რუსეთის სახით საქართველომ იპოვა ის, რასაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ეძებდა - ძლიერი მფარველი და ერთმორწმუნე ერი, სამუდამოდ დაიმკვიდრა საგარეო უშიშროება. დანარჩენ პასუხისმგებლობას თუმანიშვილი თითოეულ ქართველს აისრებს რათა მიიხედ-მოიხედონ, აღადგინონ დაცემული ენა, განავითარონ ეროვნული კულტურა.

ეროვნული საკითხის მართებულად დაყენებაში პირველობა მიხეილ თუმანიშვილს ეკუთვნის. „ქართული ეროვნული კულტურა სულსა ღაფავდა. ერის საუნჯე - ენა უგულვებელყოფილი, დაკნინებული და დავინწყებული იყო. ერთადერთი უურნალი „ცისკარი“ ძლივს სუნთქავდა, გიორგი ერისთავის თეატრმა არსებობა შეწყვიტა. საზოგადოებაში გადაგვარების ტენდენციები გაბატონდა, ერს თავს დაატყდა უბედურება, დადგა საკითხი ყოფნა-არყოფნის. ამ მდგომარეობას არ შეეძლო არ აენთო გული ისეთი პატრიოტისა, როგორც მიხეილ თუმანიშვილი იყო. რამ გამოიწვია, ერის დადგომა დევრადაციის გზაზე - რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნამ თუ ქართველი ხალხის უმოქმედობამ, გულგრილობამ სამშობლო ენისა და კულტურისადმი? ვინ არის დამნაშავე? ასე დააყენა საკითხი პირველ „სალაყბო ფურცელშივე“ მიხეილ თუმანიშვილმა და პასუხიც თვითონე გასცა: „განა ტყუილია, რომ ქართველების უბედურებით მდგომარეობაში ყოფნის მიზეზნი ისევ თვითან ქართველები არიან? მიპასუხეთ, ტყუილია? ამ თქმისათვის ჩასაქოლი ვარ? მაგრამ ვის ვკითხავ. ამისთვის იქნება თქვენც დამიწყით ლანძღვა, იქნება თქვენც უკუ მიდგეთ და მიუდგეთ ჩემს შემარცხვენელს საზოგადოებასა და სთქვათ: მართლად რომ სიმართლით დაურქმევიათ მოლაყბო. რაც გინდათ თქვით, დაეხსენ, თქვენც გამლანძღეთ მოლაყბე კაცი ჩემის სიმართლისათვის, კიდევაც ვიტყვი და გავიმეორებ, რომ ჩვენის უბედურებით მდგომარეობის მიზეზნი ვართ თვითან ჩვენ.

ერის დედაბოძი, ფუნდამენტი, არის ეროვნული ლიტერატურა, ეროვნული ხელოვნება, რადგან ის უხსნის გონებას კაცს, ხოლო გონებაგახსნილი ადამიანი შესძლებს შეუძლებელსაც კი. „ეს ხომ კარგად ვიცით, ყოვლის ხალხის განათლება მდგომარეობს ლიტერატურაში, რომელიცა ხსნის კაცის გონებასა, რაკი კაცს გონება გაეხსნა, რას არა იქმს, რას არ მოიგონებს, რას არ შეუდგება გაბედულებით? მაშინ ის დაარღვევს ყოველსა თითქმის შეუძლებელს საქმესა. ეს ხომ კარგად ვიცით, ლიტერატურის საფუძველი ჯერ არის უურნალი, შემდგომ-ტეატრი“. რა მდგომარეობაშია ერთი ან მეორე? მიხეილ თუმანიშვილის თქმით, რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნამ გახადა შესაძლებელი დაარსება თეატრისაც და უურნალისაც. უმაღლესმა ჩვენმა მთავრობამ მოგვცა ერთიცა და მეორეც, მაგრამ

ქართველი საზოგადოება არ იყენებს მას. „რა ვიცით ჩვენ - მწარედ შენიშნავს ის - ამგავრი სასარგებლო საგნების მოხმარება? აბა, რა ჩვენი საქმეა? სად შეგვიძლიან? მხოლოდ ღმერთს ამაში მოუცია ჩვენთვის ნიჭი, მე მოლაყბე დამიძახონ, იმას სულელი, სხვას ტუტუცი და სხვა.

ქართული საზოგადოება გულგრილი გამხდარა. ძნელი ეს არის, რომ ღმერთს მოუცია თვალეები ახილებული და არა აუხილებელი, მაგრამ ვერას ვხედავთ, ყურები მოუცია მსმენელი და არა ყრუ - ვერას ვისმენთ! რომ არა გვესმის რა, მაშასადამე, როგორ უნდა მოვიხმაროთ: თვალეები გავქვს და ვერასა ვხედავთ, ყურები გვაქვს და არა გვესმის რა.

აკი რომ ვერა დავინახეთ რა ქართულს ტეატრში, თავი დავანებეთ. აკი რომ ვერა გავიგეთ რა სასარგებლო იყო თუ არა, მოვსპეთ...ეს კარგათ ვიცით, რა წამს იტყოდნენ, ქართული წარმოდგენა არისო, ისე მირბოდნენ ქართველები თავიანთ სამშობლო ენაზედ წარმოდგენებითგან, თითქოს ჭირი არისო და როდესაც იქნებოდა სხვა ენაზედ, ფეხებს მიიმტვრევდნენ“.(რამიშვილი, 1957,181:182)

„ვის ურტყამს მათრახს პირუთვნელი მამხილებელი, საზოგადოების მალაღს თუ დაბალ ფენას? ცხადია, პირველს. მისი თქმით დაბალ ფენას ეკონომიკური საშუალება არა აქვს, დაეხმაროს ეროვნულ საქმეს, შემწეობა მისცეს მას, მაღალ ფენას კი გული გაცივებია, სისხლი გაყინვია, თავისას სხვისი ურჩევნია და, ნაცვლად დახმარებისა, მშობლიურ კულტურას მტრობს.

მიხეილ თუმანიშვილი გადმოგვცემს „ერთს დიდს საზოგადოებაში თითქმის ტფილისის ყოველთ ზედ მალაღს, შეყრილნი ყოფილან რამდენიმე დარბაისელნი, იმათ შორის ხედავენ, რომ ზის ქართული ენის მოყვარე ქართველი, რომელსაც მალაღს საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. იქ ჩამოვარდება ქართულს ტეატრზედ ლაპარაკი, უმაღლესი პირი (ლაპარაკია რუს მოხელეზე) იტყვის, რომ ქართველთათვის საჭიროებას მოითხოვს ქართული ტეატრი... პატივი და დიდება ამგვარ ზრუნველობისათვის, წარმოსთქვამს ყოველსავე ქართული ენის შემწეობასა, რაც რამ კი გამოუვა ხელითგან. ამ დროს დაფიქრდება ქართული ენის მოყვარე

ქართველი და მოახსენებს: რა საჭირო გახლავთ ქართული ტეატრი, მაშინ, როდესაც არის რუსული და ამასთანავე ოპერა იტალიანურს ენაზედ?“

აქედან დასკვნა: რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა არ ყოფილა მიზეზი ეროვნული კულტურის დაცემისა. თვით ქართველები, რომელთაც აქვთ მდგომარეობა და საშუალება, დაეხმარონ ერის აღორძინების, აღდგენის საქმეს, მტრობენ მას „ლეკებზედ უარესად“, ჭრიან ეროვნულ ხეს, აჩანაგებენ მამაპაპათა ძველთაშველ მამულს. „ახ კალამო! დასდექ!- თავშეუკავებელი აღშფოთებით წამოიძახებს ავტორი - კალამო, საქართველოს ბატის გამონაცემო!.. რომ გიხმარო, ვისთვის გიხმარო და ან რა სინდისით, რომელ ენაზედ? ეგ შენი სპეტაკი ფრთა მოვიხმარო ქართველთათვის, რომელნიცა გმტრობენ? რომელნიცა ყველგან, ყოველ ჟამს და ყოველ წამს ცდილობენ ძირიანად აღმოფხვრან ხსენება შენი.

თეატრზე უკეთეს მდგომარეობაში არ არის „ცისკარი“ - ეს ერთადერთი ჟურნალი, თავადიშვილნი ათასობით ფლანგავენ ქალაქის და ლოტოს თამაშში, კაპიკსაც არ იმეტებენ ჟურნალისათვის, რომელიც მონოდებუღია დაცემული ეროვნული ლიტერატურის ფეხზე წამოსაყენებლად. ადვილი მოსალოდნელია, რომ ისიც დაიხუროს, რედაქტორმა ველარ შესძლოს გამოცემა და მოსპოს. „ჩვენი ჭკუისაგან არც ეს იქნება გასაკვირველიო“, - მწარედ შენიშნავს თუმანიშვილი. მისი აზრით, რედაქციის უმწეობა არის საზოგადოების სიღარიბე, რადგანაც „ლიტერატურა საზოგადოა და არა კერძობით.

შეძლებული ქართველები გადადგომიან თავიანთ წმინდა მოვალეობას, დავიწყებიათ, რომ „ყოველი ქართველი მოვალე არის თავის სამშობლო ენას მისცეს შემწეობა“, ნაცვლად იმისა, რომ მივიდეს რედაქციაში და გამოიწეროს ჟურნალი, უარს ამბობს სახლში ძალად მიტანილი ქვითარის მიღებაზე, ვინ იქცევა ასე? დაბალი წრის ქართველები, მშრომელი მოსახლეობა? არა; ისევ და ისევ ცხოვრების სუფრის თავში გამოჭიმულნი, არჩეულნი და წარჩინებულნი. იმ დროს, როდესაც ერის ბედი სასწორზე დევს, მცონარე თავადაზნაურობა გასართობს ეძებს, ცირკსა და კრივს ეტანება, იქ ეძებს ცხოვრების აზრსა და სიბრძნეს“. (რამიშვილი, 1957, 183-184)

მიხეილ თუმანიშვილის თითოეული სტატია თუ წარმოთქმული სიტყვა ქართველი ხალხის გაღვიძებას, სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანას, პატრიოტული გრძნობის ჩანერგვას ემსახურება. ის არ კმაყოფილდება მხოლოდ პირდაპირი, შიშველი, შეუფარავი მხილებით.

თუმანიშვილის პუბლიცისტური წერილების ძირითადი ჟანრი არის სატირა, რომელიც სარკაზმში გადადის. მიხეილ თუმანიშვილის სატირისათვის ეროვნულ თემაზე მსჯელობისას ერთი ყველაზე დამახასიათებელია გამოთქმა - „ქართული ენის მოყვარე ქართველი“. ასე იხსენიებს ის ყველას, ვისაც კი გული აუყრია სამშობლო ენაზე, მშობლიურ თეატრსა და ჟურნალზე. მისი სატირა დიდ სიმძაფრეს აღწევს; როდესაც გადაგვარებულ ქართველებს „სამშობლო ენის მზეს“ აფიცებს, ხოლო „ქართული ენის მოყვარე“ ქართველის სინდისთან ერთად ხსენებით იგი შიშველ სახეში მათრახით ცემს „ჯიხვისა და აზარტეშის“ მოყვარულთ, „დიდის მთქმელ“ წოდებას, ჩინების მაძიებელთ.

მიხეილ თუმანიშვილის წერილებს თავიდან ბოლომდე გასდევს სატირული დამოკიდებულება ყველაფრისადმი. არც ერთ საგანს, არც ერთ მოვლენას იგი თავის სახელით არ იხსენიებს, ყველაფერზე ირონიულად მსჯელობს. ეს არის მისი მხატვრული მეტყველების თითქმის ერთადერთი ხერხი. ასე მაგ: ქართული ენის მოძულეს იგი „ქართული ენის მოყვარე ქართველს“ უწოდებს, გონებადასხულ საზოგადოებას გონება-გახსნილს, გაუნათლებელს-განათლებულს, უგუნურს-ბრძენს და ასე შემდეგ.

თუმანიშვილი იძულებული გახდა ჭეშმარიტი გამოსვლა მოლაყბის არასერიოზული ფსევდონიმით მოენათლა, თუმცა არა ერთხელ აღნიშნა ხაზგასმით, რომ ლაყბობას სიმართლის თქმას ვეძახიო. ის წყეულს უწოდებს თავის საზოგადოებას. სამარცხვინო ბოძზე გააკრა ქვეყანა, „სადაც მართალი არ გადის“.

„სალაყბოს ფურცლის“ სხვა ავტორები მართებლობის არსებული სისტემის უფრო შეუნიღბავი კრიტიკით გამოდიან და მათ ასეთ გამოსვლაშიც არ შეიძლება თავის დამსახურება დავეუკარგოთ მიხეილ თუმანიშვილს, რადგანაც თუმანიშვილმა ააღებინა მათ ხელში კალამი, ასწავლა სიმართლეზე „მართალი წერა“. ის ფაქტი, რომ მიხეილ

თუმანიშვილი არასოდეს აშკარად არ გამოსულა მოლაყბის ფსევდონიმით გამოქვეყნებული არც ერთი წერილის შინაარსის უარის მყოფელად, იმის მიუხედავად, რომ ნამდვილ მოლაყბედ „ცისკრის“ მკითხველები მხოლოდ მას იცნობდნენ, ნათელყოფს მის იდეალებს საერთოდ ქვეყნის მართვა-გამგეობის საკითხშიც.

ამგვარად, მიხეილ თუმანიშვილი - მოლაყბე და „ცისკრის“ სხვა მოლაყბე მწერლები ერთიმეორეს ავსებენ: მიხეილ თუმანიშვილი ძირითადად ეროვნულ-სოციალურ საკითხებს ეხება და სტრიქონებს შორის მართებულობის სისტემასაც ამატრახებს. სხვა მოლაყბეები ძირითადად ზნე-ჩვეულებების კრიტიკით გამოდიან, მართებულობის სისტემას ამატრახებენ და ეროვნულ გაჯანსაღებას ამაში ხედავენ.

თავი V

მიხეილ თუმანიშვილი - თეატრალური კრიტიკოსი

მიხეილ თუმანიშვილი პირველი ქართველი თეატრალური კრიტიკოსია, რომელმაც შეძლო ქართული თეატრალური კრიტიკა იმთავითვე სწორ გზაზე

დაეყენებინა. მან წინა პლანზე ისეთი საკვანძო საკითხები წამოწია, რომელთაც თავიანთი მნიშვნელობა და აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავთ.

თუმანიშვილს არამარტო ესმოდა სასცენო ხელოვნების უდიდესი საზოგადოებრივი დანიშნულება, არამედ მთელი არსებით ილტვოდა მისკენ, ის იყო ჭეშმარიტი თეატრალი. ჩახედული იყო თეატრის ყოველდღიურ საქმიანობაში. ყოველთვის მზად იყო გაჭირვების უამს მხარში ამოსდგომოდა, გაეწია ყველანაირი დახმარება. ამით აიხსნება, ალბათ, ის, რომ საზოგადოებაში ცნობილი და მიღებული თანამდებობის პირი სუფლიორობას არ თაკილობდა. ეს იყო პრაქტიკული დახმარება. როდესაც გიორგი ერისთავის თეატრის დასი დაშალეს, (1854-55წწ) მსახიობებმა დახმარებისთვის სწორედ მ. თუმანიშვილს მიმართეს, სთხოვეს მოხსენებითი ბარათის დაწერა, რომელიც მეფისნაცვალს ქართული დასისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობაში დაარწმუნებდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ადვილი საქმე: მისი შესრულება მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო ვინც კარგად იყო ჩახედული ქართული თეატრის მიზნებსა და საქმიანობაში.

მიხეილ თუმანიშვილს თეატრი მიაჩნია კულტურულ დაწესებულებად, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ხალხის ზნეობრივ გაფაქიზებასა და გონებრივ ამაღლებას. მისი აზრით ქართულმა თეატრმა უნდა გვიჩვენოს ქართული სინამდვილე, მაჩნია, რომ სხვა ხალხთა მასალაზე დაწერილი პიესა ისეთ შთაბეჭდილებას და აღმზრდელობით გავლენას ვერ იქონიებს ქართველ მაყურებელზე, როგორც მისი საკუთარი ცხოვრების ამსახველი პიესები. ამიტომ იგი მოითხოვს, რომ დრამატურგებმა ყურადღება მიაქციონ იმ სინამდვილის ასახვას, რომელიც მათ გარშემოა და რომელსაც კარგად იცნობენ.

„გიორგი ერისთავის დრამატურგიის რეალისტური ბუნების შესახებ იმდროინდელ რუსულ გაზეთებში წერილებს ათავსებდნენ რუსი რეცენზენტებიც (ი. პოლონსკი, ვ.სოლოგუბი და სხვ) მაგრამ მათში, გასაგები მიზეზების გამო, არ იგრძნობა ის მამულიშვილური გულისტკივილი, რის შესახებაც საუბრობს მიხეილ თუმანიშვილი თავის სტატიებში.“ რამიშვილი, 1957:105)

თავის წერილებში თუმანიშვილი მიზნად ისახავდა, გაემხნეებინა გიორგი ერისთავი და მისი დასი, ეჩვენებინა ქართველი ხალხისთვის თეატრალური ხელოვნების ძალა. ავტორი აღტაცებულია, რომ ქართველებმა გამოიჩინეს ხელოვნების გასაოცარი ნიჭი.

პირველი წარმატების შემდეგ, რაც წილად ხვდა გიორგი ერისთავის თეატრს, მიხეილის სიტყვით, მის წინაშე ორი არსებითი საკითხი დაისვა, რომელთა გადაწყვეტლობასაც შეეძლო დასაწყისშივე ჩაეკლა ეს ეროვნული წამოწყება: ეს იყო დასის შემადგენლობა და რეპერტუარი.

„გიორგი ერისთავი, - ხელი მოჰკიდა რა ამ ფრიად სერიოზულ საქმეს, მაშინვე მიხვდა, რომ ამაო იქნებოდა აქტივობა ძებნა საზოგადოებრივ ცხოვრებას გაცნობილ მასაში, ამიტომ მან მიმართა სოფელს, სრულიად ნედლ მასალას, ჩამოიყვანა იქედან ახალგაზრდები - ქალები და ვაჟები - ხელოვნების სრულიად უვიცნი და ზოგჯერ წერაკითხვის უცოდინარნიც კი“. (რამიშვილი, 1957:107)

მიხეილ თუმანიშვილი სათანადოდ აფასებს გიორგი ერისთავის ამ გამბედაობას, ნოვატორობას, უზარმაზარ ენერჯიას, რასაც მოითხოვდა აქტივობის საკმაოდ რთული პროფესიის დაუფლება.

მიხეილ თუმანიშვილი ორიგინალური პიესების შექმნის აუცილებლობის საკითხს აყენებს. იგი მიუთითებს მდიდარ მასალაზე ორიგინალური დრამატურგიის შესაქმნელად: „ჩვენი ქვეყანა სავსეა საინტერესო თემებით, საინტერესო სიუჟეტებით ჩვენივე ერის ცხოვრებიდან, აქ უამრავია თავისებური ხასიათები, შემოქმედებისათვის აუცილებელი წყაროები, რადგან მოდის უცხო, ეთვისება და უსისხლხორცდება ადგილობრივს, იქმნება სრულიად ახალი ხასიათი, რომელსაც იშვიათად შეხვდებით სხვაგან. საჭიროა გქონდეს დაკვირვების, არჩევის, გამოყენების უნარი, შეგეძლოს ამ ხასიათების მონახვა, განზოგადოება, მხატვრულ სახეებში მოცემა და დაიბადება ნაწარმოები - ხალხისთვის მახლობელი, მისაღები, გასაგები, უაღრესად მიმზიდველიო“. - განმარტავს ის. (რამიშვილი, 1957:110)

ორიგინალური დრამატურგიის შექმნის საკითხმა მიხეილ თუმანიშვილი ხელოვნების დანიშნულების საკითხის დასმამდე მიიყვანა. მისი აზრით თუ თეატრი

გვერდს აუხვევს ეროვნულ ინტერესებს, თუ ის არ იქნება ერის ცხოვრების, აზრებისა და მისწრაფებების გამომხატველი, ხალხის აღმზრდელი დადებითი და უარყოფითი ტიპების ჩვენებით, - ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას, ვერ გაუწევს სამსახურს მას, ვისთვისაც დაარსებულია იგი, ხალხი მას არ მიიღებს. დაარსებულ თეატრს მიხეილ თუმანიშვილი ერთადერთ მოვალეობას აკისრებს: აჩვენოს თანამედროვე საქართველოს ცხოვრება, შექმნას საზოგადოების ამა თუ იმ ფენის ცხოვრების რეალურ ფერებში ამსახველი ტიპები. თუმანიშვილი თეატრს განიხილავს, როგორც ხალხის მორალის აღმზრდელ დაწესებულებას.

ქართული თეატრის დამკვიდრებისა და განვითარებაში მიხეილ თუმანიშვილის, როგორც ქართველი თეატრალური კრიტიკოსის, როლი ფასდაუდებელია. მან პირველმა მოჰკიდა ხელი კალამს ქართული თეატრის ჭირ-ვარამზე სასაუბროდ და რამდენიმე წლის განმავლობაში მარტოდმარტო ატარა ეს საკმაოდ მძიმე ტვირთი. იგი იყო ქართული ეროვნული თეატრის პირველი ქომაგი, მოჭირნახულე და გზის მაჩვენებელი. მან უდავოდ შეუწყო ხელი ქართული ნაციონალური რეალისტური თეატრის განმტკიცებას. სხვა, გარდა მიხეილ თუმანიშვილისა, მიმთითებელი, გამსწორებელი, გამკრიტიკებელი თუ წამხალისებელი თავის მძიმე და უჩვეულო მუშაობაში გიორგი ერისთავს არ ჰყოლია.

გიორგი ერისთავი ყურს უგდებდა, ანგარიშს უწევდა და დიდად აფასებდა მიხეილ თუმანიშვილის შენიშვნებს. მიხეილ თუმანიშვილის სიკვდილის შემდეგაც, ქართული თეატრის მესვეურებს არაერთხელ გამოუყენებიათ თავიანთი აზრის დასამტკიცებლად მიხეილ თუმანიშვილის საყურადღებო დებულებანი. მიხეილ თუმანიშვილის სტატიებიდან თეატრის შესახებ, ვრცელი ამონაწერები მოჰყავდა ილია ჭავჭავაძეს. „ივერია“ 1884 წლის პირველ ნომერში წერდა: „თითქოს გუშინ დაუნერიათ ეს სტრიქონებიო, ისე შეეფერება დღესაც ეს ნაწერი ჩვენის თეატრის დღევანდელს მდგომარეობას, სწორედ წინასწარმეტყველებაა ამგავრი აზრის წარმოთქმა ბატონის მიხეილ თუმანიშვილის მიერ. დღეს ყველა ვხედავთ მისი აზრების სიმართლეს. ჩვენ ავაღვსეთ ჩვენი რეპერტუარი სხვადასხვა პიესების თარგმანებით, ან ისეთის გადმოკეთებულის პიესებით, რომ ისევ პირდაპირი გადმოთარგმან ემჭობინებოდა...

ჩვენ ავიკელით ჩვენი სცენა სხვადასხვა ვოდევილებით და.. მიხეილ თუმანიშვილისა არ იყოს, ჩვენ არც ენა დავზოგეთ ქართული, არც აქტიორები და არც საზოგადოება შევიბრალებთ და აი ყველა ამის ნაყოფს ვიმკით“. (რამიშვილი, 1957: -118)

მიხეილ თუმანიშვილის რეცენზიაში ყველაზე მნიშვნელოვანია ქართული თეატრის რეპერტუარის ხასიათზე მსჯელობა. რეცენზენტი ფიქრობს, რომ ქართულ თეატრს შემთხვევით არ დაედო საფუძვლად „წმინდა კომიკური სანყისი“, რომ „თანამედროვე ქართული ცხოვრება, რომლის ასახვასაც უნდა ემსახურობდეს ეს თეატრი, ღრმად ორიგინალურია“, რომ ქართული ენა მოქნილია და აქვს მიდრეკილება სახუმარო ტონისადმი, ხოლო ქართული გონება აღსავსეა ძალდაუტანებელი იუმორით. ყოველივე ეს ხელს უწყობდა კომიკური რეპერტუარის შექმნას.

საჭიროა თუ არა ადგილობრივ სცენაზე შემოვიტანოთ სიუჟეტები რუსული და ევროპული ცხოვრებიდან, მიიღებს თუ არა იგი უცხო ზნე-ჩვეულებებს, ინტრიგებს, იდიომებს, რომლებიც არაფრით არ ეგუება ადგილობრივს? ეს იყო კითხვები, რომლებიც ჩვენს კრიტიკოსს აწუხებდა. კრიტიკოსის აზრით ამ უცხოურის არც შემსრულებლები გამოჩნდებიან და მას ვერც მაყურებელი გაიგებს. მაყურებელი მხოლოდ მაშინ მოვა თეატრში, როდესაც ყოველივე ეს შეფარდებული იქნება ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებთან, მოვლენებთან, იუმორთან. მაგრამ მიხეილ თუმანიშვილი პრინციპულად არც ასეთი მეთოდის მომხრეა. იგი საერთოდ ილაშქრებს „სესხების“ წინააღმდეგ და მიიჩნევს, რომ ქართული თეატრის რეპერტუარი ამ გზით ვერ აღორძინდება. უნდა ითქვას, რომ მას სწორად ესმის ქართული მწერლობისა და, კერძოდ, ქართული დრამატურგიის განვითარების ჭეშმარიტი მიმართულება. მიხეილ თუმანიშვილი პირველი ქართველი თეატრალური კრიტიკოსია, რომელსაც სავსებით შეგნებული და ჩამოყალიბებული აქვს ეროვნული დრამატურგიის ხასიათი და მისი მნიშვნელობა.

მიხეილ თუმანიშვილი წერს: „მთელ ამ სესხებას ქართული დრამატურგია არც საჭიროებს. საკუთარი ნიმუშები, საკუთარი წყაროები აქაა, ამიერკავკასიის ცხოვრება მდიდარია ამ მხრივ. საჭიროა თუ არა წმინდა ადგილობრივი, უცხოურის გარეშე? -

საკმარისია მხოლოდ უფრო ღრმად დავაკვირდეთ, რათა დავინახოთ, თუ რამდენი ხელუხლებელი წყაროა, რომლებიც ახალთახალი ნაკადით თქვენი ცოდნის მოყვარეობის წყურვილს დააკმაყოფილებს... მოახერხეთ მხოლოდ დააკვირდეთ, ამოარჩიოთ, ისარგებლოთ...

ჩვენ ვუთითებთ ადგილობრივ წყაროდან სიუჟეტების აღების აუცილებლობაზე, გაფრთხილებთ რა, რომ ჩვენი ახალგაზრდა რეპერტუარი არ გადაიხაროს სწორი და მშვენიერი დასაწყისიდან, რომელსაც მისდევს და რომელიც ეკუთვნის მას. ასეთი გაფრთხილება, მიხეილ თუმანიშვილის სიტყვით, აუცილებელია, რადგან ორიგინალური პიესების მარაგის უქონლობა ხანდახან გვაიძულებს მივმართოთ ვოდვეილების თარგმნას. ეს კი არაა სასურველი. მართალია, მიხეილ თუმანიშვილი, რეპერტუარის სიღარიბის გამო, უკიდურეს შემთხვევაში უშვებს ვოდვეილების გადმოკეთებას და მათ სრულ გარდაქმნას ქართულ ყაიდაზე, მაგრამ ეს არ მიაჩნია ეროვნული რეპერტუარის შექმნის გზად და თვლის, რომ სასურველია ვოდვეილები არ დამკვიდრდნენ ქართულ სცენაზე და არ მოიტანონ ზიანი, რომლის გამოსწორება შემდეგ ძნელი იქნება - „საჭიროა გაუფრთხილდეთ ენასაც, მსახიობებსაც და მაყურებელსაც, განსაკუთრებით მაყურებელს, რომელიც ასეთი ნდობით უყურებს ახალ ქმნილებას, სარგებლობისა და სიამოვნების ახალ სანახაობას“. (ჭუმბურიძე, 1974:103)

თუმანიშვილი თქვამდა, რომ ქართულ სცენაზე კომედიის დამკვიდრება არ უნდა გამხდარიყო დრამის სხვა სახეების განდევნის საფუძველი: „განვსაზღვრეთ რა, რომ ქართული სცენის დანიშნულება უპირატესად კომიკურია და ამასთანავე დამოუკიდებელი, ამავე დროს არ უნდა შევზღუდოთ ის დრამატურგიის სხვა სახეებშიც, მაგრამ იმ პირობით, რომ მათთვისაც შინაარსი ვისესხოთ ცხოვრებიდან ამავე მხარისა, რომელიც აღსავსეა ამდენი დრამებით, ისტორიული და არაისტორიული გადმოცემებით“. (ჭუმბურიძე, 1974:104)

მიხეილ თუმანიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი ყოფის შესწავლასა და ნაციონალური თემატიკის დამუშავებას მიაქცია. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ ეროვნული თემატიკის გარეშე ეროვნული მწერლობა, კერძოდ კი დრამატურგია, ვერ განვითარდება. სწორედ ამ თვალსაზრისით შეაფასა კრიტიკოსმა

გიორგი ერისთავის კომედიებიც - „დავა“, „ტუნნი“, „გაყრა“ და აღნიშნა, რომ: „მათ ავტორს აქვს დაკვირვებისა და მასალის შერჩევის უნარი, ქართველმა დრამატურგმა „შეძლო ადგილობრივი ცხოვრებიდან დაეჭირა და გადმოეცა დამახასიათებელი, შეძლო გაეცოცხლებინა იგი ადგილობრივი კოლორიტით, შეეზავებინა ადგილობრივი იუმორით“. (ჭუმბურიძე, 1974:104)

თეატრს მიხეილ თუმანიშვილი განათლების კერად მიიჩნევს. მისი რწმენით, მაყურებელმა თეატრში ცხოვრება სასცენო მხატვრული ნაწარმოების ათვისების გზით უნდა შეისწავლოს. მსახიობთა მიერ პიესის გმირთა ცხოვრება უნდა გაცოცხლდეს მაყურებლის წინაშე.

1852 წელს გაზეთ „კავკაზში“ ორ ნომერში (N-10, 11) გამკოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც გ. ერისთავის „გაყრას“ ეხება, მიხეილ თუმანიშვილი დაბეჭდვით აცხადებს, რომ თეატრში ყველაფრის საფუძველი რეპერტუარია. მას რეპერტუარის ანუ სასცენო ხელოვნების ლიტერატურული საფუძვლის საკითხი შემლუღულად არ ესახებოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, თითქოს ქართულ თეატრში ნებისმიერი ნაწარმოები შეიძლება ჰპოვებდეს ადგილს. მას ჰქონდა შერჩევის გარკვეული კრიტერიუმები. ესენია: ნაწარმოების, მასში დასმული პრობლემის და მისი მხატვრული გადაწყვეტის სიახლოვე ქართულ სინამდვილესთან, მისი საჭიროება ქართული საზოგადოებისათვის. ის აქტიურად ილაშქრებდა იმგვარი ნაწარმოების წინააღმდეგ, რომელშიც ქართული სინამდვილე არასწორად იყო ასახული.

„მიხეილ თუმანიშვილის ბოლო წერილი თეატრის შესახებ 1874 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ ორ ნომერში (N – 109,112) ხელმოწერით „თეატრის მოყვარული“. ეს წერილები ერთი სტატიის ორი ნაწილია; ამიტომ, სათაურიც ერთი აქვს - „თბილისის თეატრის ხსოვნას“. სტატია ქარვასლის თეატრის დაწვის შემდეგაა დაწერილი. მძიმედ განიცადა თუმანიშვილმა თეატრის ბედი, ამიტომ აღეძრა მოთხოვნილება შეეხსენებინა საზოგადოებისათვის იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო საქართველოში თეატრის აგებამდე და რა დიდია თეატრის როლი ქალაქის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის სულიერი განვითარების საქმეში. მკითხველისთვის

ამის შესვენება მიხილ თუმანიშვილს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნია. (ურუშაძე,1978:27)

თუმანიშვილი წერს: „ყოველდღიური მშფოთვარე საქმიანობით ქანცგამოღეული რომელი ჩვენგანი არ იჩქარის თეატრში იმისთვის, რომ დაღლილი გონება დაასვენოს, დაამშვიდოს თვალი“. (ურუშაძე,1978:28)

ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან მათი ავტორი თეატრს მუდამ განათლების კერად აღიარებდა. მას ვერ წარმოედგინა თეატრი, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესებით არ სულდგმულობდა და ამ ინტერესებს არ უმორჩილებდა თავის არსებობას. ასე სწამდა და არც შეუცვლია ეს რწმენა.

პირველი ქართველი კრიტიკოსი სასცენო ხელოვნების მრავალ საკითხს შეეხო: თეატრი, მისი დანიშნულება, მხატვრული და ცხოვრებისეული სინამდვილის კავშირი; დრამატურგია, რეჟერტუარი, მსახიობის ხელოვნება; მაყურებელი; კონტაქტი სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის; სასცენო ხელოვნების ეროვნულობა. მაგრამ ამ ჩამონათვალთა შორის მისთვის უმთავრესი მოქალაქეობრივი შეგნებაა.

მოქალაქეობრივი პოზიციის გარკვეულობა და სინამდვილის მიმართ არაგულგრილი დამოკიდებულება იყო იმის საწინდარი, რომ მიხილ თუმანიშვილის ყველა წერილი მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენასთანაა დაკავშირებული. ღირსშესანიშნავ მოვლენას უყურადღებოდ არ დატოვებდა. წერდა იმაზე, რაც აღელვებდა. ისიც შესამჩნევია, რომ დროთაგანმავლობაში მისი მოქალაქეობრივი აქტიურობის უნარი კიდევ უფრო ძლიერდება. რაც დრო გადიოდა სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა საზოგადოებაზე თეატრის ზემოქმედების სიძლიერეში.

თავი VI

მიხეილ თუმანიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მიხეილ თუმანიშვილი გვევლინება, როგორც ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკის ერთ-ერთი მესვეურთაგანი და თავისი თანამედროვეობის მთარგმნელობითი საქმიანობის პირველი მკაცრი კრიტიკოსი.

ქართული და რუსული ენის საფუძვლიანმა ცოდნამ შეაძლებინა მიხეილ თუმანიშვილს ეთარგმნა პუშკინის და კრილოვის ნაწარმოებები. მათ შორის ზოგმა გამოქვეყნებისთანავე მოიპოვა აღიარება. მკვლევართა აზრით, თუმანიშვილი მიუახლოვდა ადეკვატური მაღალმხატვრული თარგმანის დონეს, ღრმად შეიგრძნო ლიტერატურული პირველწყაროს სული და უფაქიზესი ნიუანსები შეინარჩუნა.

ხელოვანის თავისებურების, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ლიტერატურული სტილისტიკის წვდომა აუცილებელია მხატვრული ნაწარმოების ჭეშმარიტი მთარგმნელისათვის. ის იცავდა ყველა იმ მოთხოვნასა და წესს, რაც აუცილებელია მთარგმნელობისათვის.

„მიხეილ თუმანიშვილი რუსული კულტურის დიდი მცოდნე და პროპაგანდისტი იყო. მაგრამ ის მხარს უჭერდა მხოლოდ იმ ნაწარმოებთა გადმონერგვას ქართულ ნიადაგზე, რომლებსაც ეს ნიადაგი იგუებდა“. (ურუშაძე, 1978:8)

მთარგმნელობითი მუშაობა მიხეილ თუმანიშვილმა ჯერ კიდევ მოსწავლის მერხიდან დაიწყო, მისი პირველი თარგმანები შესრულებულია არა რუსულიდან ქართულზე, არამედ ქართულიდან რუსულ ენაზე. პირველი ნაშრომი, რომელიც მან ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნა, იყო მისი მასწავლებლის სოლომონ

ლოდაშვილის - „მოკლე მიმოხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც დაიბეჭდა „ტფილისის უწყებების“ სალიტერატურო განყოფილებაში.

მიხეილ თუმანიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულიდან რუსულად თარგმნიან აგრეთვე „ვისრამიანის“ რამდენიმე თავს და აქვეყნებენ მას „თბილისის გიმნაზიის ყვავილში“.

მალე თუმანიშვილმა თარგმნა ქართულ ენაზე დაიწყო, პირველად, მისი ყურადღება ინგლისელ პოეტმა ბაირონმა მიიპყრო. თუმანიშვილი ბაირონის შემოქმედებას დიდ პატივს სცემდა, ისე, როგორც მთელი მისი თაობა, და მის ზოგიერთ ნაწარმოებსაც („უდაბნო“, „თასი-თავის სარქველი“) აწერია - „ბაირონიდამ“, ან „მიბაძვა ბაირონისადმი“, „უდაბნო“ ბაირონისეული სევდის ქართულად გააზრებისა და აუღერების მკაფიო დადასტურებაა. ბაირონით გატაცების ხანას მიეკუთვნება რუსულიდან ფრანგული ნაწარმოების - „აღსასრული ქვეყნისა“- თარგმნა. მოთხრობის რუსული თარგმანი მიხეილ თუმანიშვილს არ მოსწონებია მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, მიუზიდავს ნაწარმოების ძირითად იდეას. „აღსასრული ქვეყნისა“ - ამბობს მთარგმნელი - გადმოვიღეთ „არა წარჩინებულის ხელოვნებითის ღირსების გამო მისისა, რომელიც ბევრით ჩამოუვა ახლანდელს ამგვარს რუსეთის მწერლობას, არამედ იმ მშვენიერის, მდიდრის და მოსწრობილის ჰაზრის გამო, რომელზედაც არის დაფუძნებული მოთხრობა, წარმომდგენი ამასთანავე მეტად ცხოვლად მაშინდელის საფრანგეთის სურათისა“. (რამიშვილი, 1957:86)

რაკი რუსული ტექსტი მხატვრული თვალსაზრისით სუსტად მიუჩნევია, თუმანიშვილი, ცხადია, მას სიტყვა-სიტყვით არ თარგმნიდა. მართლაც, მთელი რიგი ადგილები მოწმობენ, რომ მიხეილ თუმანიშვილს მოთხრობის თარგმნისას ცვლილებანი შეაქვს, რომელიც ტექსტის მხატვრულ ღირებულებას კი არ აკნინებს პირიქით ამაღლებს. ამიტომ თარგმანი იმდროისათვის მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

„იყო ესე უკანასკნელი ღამე მებათასის წლისა ქრისტეს შობიდამ. ლოცვანი არ ერჩეოდნენ გოდებათაგან. ყოველნი იყვნენ დარწმუნებულნი, რომელ ერთის საათის შემდგომ შეხვდებიან, სულთა მიცვალებულებისათა, იხილავენ წინაპართა თვისთა,

აღდგენილთა საფლავებიდან აჩრდილებით, საქმითა, გრძნობითა, გონებითა, შეგროვდებიან ერთად და წარსდგებიან წინაშე დაუსაბამოს მსაჯულისა“...

„თარგმანი შესრულებულია მშვენიერი ქართული ენით. მასში უდავოდ მოიძებნება ენის დემოკრატიზაციის, ხალხურ სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების ელემენტები. ქართული თარგმნის ღირსება მოწმობს მიხეილ თუმანიშვილის მაღალ გემოვნებას. როდის თარგმნა მიხეილ თუმანიშვილმა „აღსასრული ქვეყნისა?“ მართალია ნაწარმოები 1858 წელს გამოქვეყნდა მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბეჭდვითი ორგანო მანამდე თითქმის არ არსებობდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე არის ნათარგმნი. კერძოდ, სავარაუდოა, რომ მიხეილ თუმანიშვილს „აღსასრული ქვეყნისა“ ეთარგმნოს ჯერ კიდევ მანამ, სანამ სამსახურეობრივ ორომტრიალში ჩაეთვლობოდა და ბაირონისეული ამბოხი სულისა მისთვის ახლობელი და სისხლხორცეული იყო“.(რამიშვილი,1957:87-88)

მიხეილ თუმანიშვილი ადრევე იყო დაინტერესებული რუსული ლიტერატურით, რასაც 1833 წელს მის მიერ შედგენილ ანთოლოგიაში მოთავსებული მისივე თარგმანი ნაწყვეტიდან „კავკასიის ტყვე“, გვიმტკიცებს. მაგრამ ღრმა ინტერესი პუშკინსა და სხვა რუსი პროგრესული მწერლებისადმი იწყება გაცილებით უფრო გვიან, როდესაც მიხეილ თუმანიშვილმა შეძლო გაერჩია რუსი ხალხი მეფის მოხელეებისაგან. მკვლევარი ლ. ასათიანი, როცა წერს: „მ. თუმანიშვილის ორიგინალური ლექსები დათარიღებულია 1836-38 წლებით, როგორც ჩანს, ამავე ხანას ეკუთვნის მისი გულმოდგინე მუშაობაც პუშკინის თარგმნაზე“.

მხატვრული ძალა და გამოცდილება, რაც მიხეილ თუმანიშვილს ყრმობის პერიოდში გააჩნდა, პუშკინის გადმოქართულებისათვის საკმარისი არ იყო, ამიტომ მან ამ საქმეს გარკვეულ დრომდე თავი დაანება და დაუბრუნდა მას უფრო გვიან - 1836-38 წლებში, როცა გიმნაზია დაასრულა და უკვე მხატვრული და გონებრივი მოწიფულობა იგრძნო.

მიხეილ თუმანიშვილი პუშკინის პირველი მთარგმნელი არ არის. პუშკინის ნაწარმოებებს მიხეილ თუმანიშვილამდე თარგმნიდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და

სოლომონ რაზმაძე. თუმცა ქართველ მთარგმნელთაგან პუშკინთან ისე ახლოს არავინ მისულა, როგორც მიხეილ თუმანიშვილი.

თარგმნას მიხეილ თუმანიშვილი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ის ვერ იტანდა ე.წ. მიახლოებით თარგმანს, ტექსტიდან ოდნავ დაშორებას. თუ ხანხადახან, ლექსის თუ ენის სპეციფიურობის გამო, იძულებული ხდებოდა დედანს დაცილებოდა, მთარგმნელის სახელზეც ხელს იღებდა ხოლმე. პუშკინის თარგმანზე მიხეილ თუმანიშვილს დიდი ენერგია დაუხარჯავს. მას პუშკინიდან ქართულად გადმოუთარგმნია სამი დიდტანიანი ნაწარმოები - „კავკასიის ტყვე“, „ბახჩისარაის შადრევანი“, „ქვის სტუმრის“ მე-3 და მე-4 სცენა და ერთი მცირე ზომის ლექსი - „ადელს“.

„კავკასიის ტყვე“ დაიბეჭდა 1937 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ პუშკინისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნომერში. იგი მხატვრული ღირსებით მიხეილ თუმანიშვილის მიერ შემდგომში შესრულებულ თარგმანებზე გაცილებით დაბლა დგას.

„ბახჩისარაის შადრევანი“, ივ. მაჩაბელის ინიციატივით, პირველად დაიბეჭდა 1881 წელს. ილია ჭავჭავაძის - „ივერიის“ პირველ ნომერში. მის თარგმანზე თუმანიშვილს ძალისხმევა არ დაუშურებია და ხანგრძლივად უმუშავია, რაც მონაწილეს მის დიდ პასუხისმგებლობაზე ნებისმიერ საქმეში.

„ქვის სტუმარი“ პირველად დაიბეჭდა 1878 წელს - მიხეილ თუმანიშვილის მიერ შედგენილი ლიტერატურული ალმანახის პირველ წიგნში.

მიხეილ თუმანიშვილის თარგმანი ხასიათდება სახეების ზუსტად გადმოტანით, მთარგმნელი საგანგებოდ ცდილობს, არ დაუკარგოს ლექსს დედნის კეთილხმოვანება. თუმანიშვილის ენა მარტივი და სადაა. იგი საგრძნობლად სცილდება მოძველებულ ენობრივ ნორმებს, გაბედულად ნერგავს ახალ, სასაუბრო ენასთან დაახლოებულ სალიტერატურო ენას. პუშკინის მთარგმნელს უსათუოდ უნდა სცხებოდა ხალხური ენის სისადავის მაღლი და მიხეილ თუმანიშვილიც სწორედ ამ გზას დაადგა.

იმ შემთხვევაში, როდესაც პუშკინის ლექსებისთვის შესატყვის ლექსიკას, მეტრს, რითმს და სხვა პოეტურ ელემენტს ვერ პოულობდა მიხეილ თუმანიშვილი გადმოკეთებას ან მიბაძვას მიმართავდა.

გადმოკეთებისას, ისე როგორც ყოველი გადამკეთებელი მწერლის, თუმანიშვილის მიზანიც არის თავისი ხალხისათვის უფრო მისაწვდომი და მახლობელი გახადოს ნაწარმოები, სხვა ხალხის საკუთრება თავის ხალხის საკუთრებად აქციოს, სხვა ხალხისთვის აძგერებული გული თავის ხალხისათვის ააძგეროს. მაშასადამე, აქაც, თუმცა განსაზღვრულ, მაგრამ თავისებურ ორიგინალურ შრომასთან გვაქვს საქმე.

„მაგრამ თუ გადმოკეთება მხოლოდ განსაზღვრული აზრითაა ორიგინალური შემოქმედება, მიბაძვაზე იგივე არ ითქმის. მიბაძვას შეუძლია ფრიად ორიგინალური ნაწარმოები დაბადოს, ზოგჯერ მიბაძვის საგნის საპირისპიროც კი. ამ შემთხვევაში მწერლის მონონებული ნაწარმოები წარმოადგენს მხოლოდ სტიმულს ახალი ნაწარმოების შესაქმნელად, რომლის ფორმაცა და შინაარსიც სრულიად სხვა არის. ამიტომ მიბაძვით შექმნილ ნაწარმოებში ავტორი ხშირად არა ნასესხებს არამედ თავისი ეპოქის, თავისი სულიერი განწყობილებით ნასაზრდოებ იღებს და მხატვრულ სახეებს ღებს.“ (რამიშვილი, 1957:93)

ალექსანდრე პუშკინის ნიჭით შთაგონებული მიხეილ თუმანიშვილი, გარდა პირდაპირი თარგმანებისა, ქმნიდა პუშკინისებურ ნაწარმოებებს, აახლოებდა დიდი რუსი ხალხის გენიალურ პოეტს ქართველ ხალხთან, რაც განსაკუთრებულ მონონებას იმსახურებდა იმ ქართველ მოღვაწეებში, რომელნიც ა.პუშკინის შემოქმედების განვითარებას, მის ქართულ ენაზე გადმოღების აუცილებლობას იმთავითვე გრძნობდნენ.

„კომედიის შემდეგ სამი საუცხოო ლექსია მოთავსებული, რომლებიც 30-იან წლებშია დაწერილი, ეს ლექსებია: „უდაბნო“, „სალამური“ და „კ...-ს“ - წერდა ი. გოგებაშვილი 1879 წ. „თბილისის მოამბეში“. „ალმანახის“ გამოსვლის გამო პირველ ორ ლექსს აშკარად აზის ბაირონისებური გულგატეხილობის ბეჭედი, რითაც ხასიათდება მაშინდელი დრო. ეს ლექსები შესანიშნავია გრძნობის სიძლიერით და პოეტური მხატვრულობით. მესამე კი, რომელიც პუშკინის მიბაძვაა, აოცებს ადამიანს თავისი მუსიკალობით და ლექსის გამართულობით“. (რამიშვილი, 1957:95)

თანამედროვეთა შორის მიხეილ თუმანიშვილი ყველაზე ახლოს მივიდა პუშკინთან და მის დიდტანიან ნაწარმოებთა ქართულად გადმოთარგმნას ყველაზე

მეტი ენერგია მოანდომა. ეს იმით აიხსნება, რომ თუმანიშვილი ქართული სასაუბრო ენის პიონერი, ლიტერატურული ენის თამამი და გაბედული ნოვატორი იყო.

პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილმა დიდი შეფასება მისცა მიხეილ თუმანიშვილის მთარგმნელობით საქმიანობას და განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „მიხეილ თუმანიშვილი იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც დიდი ყურადღება მიაქცევს რუსულ მწერლობას და აღმოფხვრეს სპარსული გავლენა ქართულ ლიტერატურაში“. (ბურჯანაძე, 1992:98)

მიხეილ თუმანიშვილის მთარგმნელობითი მუშაობა ალექსანდრე ხახანაშვილის მსაგვასად შეათვასა შალვა რადიანმა: „იგი იყო პირველი მთარგმნელთაგანი, რომელმაც სერიოზული ყურადღება მიაქცია ევროპულ და რუსულ მწერლობას და ამით ხელი შეუწყო აღმოსავლური ლიტერატურის გავლენის შესუსტებას. (რადიანი, 1936:109)

დასკვნა

მიხეილ თუმანიშვილი სალიტერატურო ასპარეზზე 30 -იანი წლების დამდეგიდან დავით მაჩაბელთან და ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად გამოჩნდა. ეს იყო თაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განვითარებაში. სწორედ ეს თაობა აღმოჩნდა განმსაზღვრელი ძალა მთელი ქართული ლიტერატურული ცხოვრებისა მე-19 საუკუნის შუა წლებამდე.

მიხეილ თუმანიშვილმა მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ის იყო ადამიანი, რომელიც წერდა ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებს, სათეატრო რეზენზიებს და მიმოხილვებს, თარგმნიდა, იცნობდა სამუსიკო და სახვით ხელოვნებას, ხატავდა. დაჯილდოებული იყო სანახაობრივი ხელოვნებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით და საგანგებო ნიჭიერებით.

მე-19 საუკუნის 50 -იანი წლების სახელმძღვანელო პუბლიცისტს აინტერესებს ყველაფერი, რაც ხდება მისი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ვინ კითხულობს ლექციას, რა თემაზე, როგორია ამ ლექციის ხარისხი, როგორია დასწრება, საზოგადოებრივი შეფასება...რა ხდება ლიტერატურაში, სამუსიკო და სათეატრო ხელოვნებაში, რა იბეჭდება ჟურნალ გაზეთებში..

თუმანიშვილს არ ახასიათებდა ზერე ცნობისმოყვარეობა, ის არასდროს კმაყოფილდებოდა მხოლოდ ინფორმაციით. არამარტო ატყობინებდა თავის ადრესატს ამა თუ იმ საინტერესო ფაქტს, არამედ ამოხსნიდა კიდევ მას. აძლევდა შეფასებას, ყველა მისი მოსაზრება დიდი ფიქრის შედეგი იყო. სიტყვა კი სადა, ნათელი და გასაგები.

მიხეილ თუმანიშვილი წარმოშობით იმ ოჯახს მიეკუთვნება, რომელიც თავისი დროისათვის ცნობილი იყო მწიგნობრული საქმიანობით. მიხეილ თუმანიშვილის, როგორც ლიტერატორის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი ოჯახს მიუძღვის. მას ოჯახმა ბავშვობიდანვე ჩაუნერგა პატრიოტული სულისკვეთება, რამაც განაპირობა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში მისი აქტიური ჩართულობა.

მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული თუმანიშვილი მიეკუთვნება პოეტების იმ თაობას, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ პოეზიას, გაავრცელეს ახალი მხატვრული სტილი და შინაარსი. თუმანიშვილის პოეზია იმის მიუხედავად, რომ გარკვეულწილად ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ანარეკლია არანაირად არ ითვლება გენიოსი პოეტის უნიჭო მიბაძვად. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ თუმანიშვილმა კიდევ უფრო დაამუშავა და გაამრავალფეროვნა ბარათაშვილთან დასმული საგულისხმო საკითხები. მისი ლექსები გამოირჩევა თავისებური ინდივიდუალურობით.

მიხეილ თუმანიშვილი არის ტიპური რომანტიკოსი. მის შემოქმედებაში წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი მოტივი, რომელიც დამახასიათებელია პესიმისტური რომანტიზმისათვის. თუმანიშვილის პოეზიის არსებითი დამახასიათებელი

ნიშნებია: აწმყო სინამდვილისადმი შეურიგებლობა, მომავლისადმი შიშის გრძნობით დამოკიდებულება და წარსულის იდეალიზაცია

თავის ღროზე მისმა მახვილმა და ღრმა აზრების შემცველმა ფელეტონებმა - „სალაყბო ფურცელმა“ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველ საზოგადოებაზე. თავის წერილებში ის ეხება სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხს, თავს ესხმის იმდროინდელი ცხოვრების სიღუბჭირეს და საზოგადოებაში გამეფებულ გადაგვარების ტენდენციებს. გამოდის ქართული ენის და მწერლობის მხურვალე დამცველად. ამხელს მათ ვისაც ქვეყანაზე გული არ შესტკივა და მხოლოდ ცარიელი ფრაზებით ცდილობენ სამშობლოს დახმარებას. თუმანიშვილი ამათრახებს ქართული ჟურნალის, ქართული ლიტერატურის და თეატრის უარმყოფელებს.

განსაკუთრებულია მიხეილ თუმანიშვილის როლი ქართული თეატრის ისტორიაში. მან პირველმა მოჰკიდა ხელი კალამს ქართული თეატრის ჭირ-ვარამზე სასაუბროდ და რამდენიმე წლის განმავლობაში მარტოდმარტო ატარა ეს საკმაოდ მძიმე ტვირთი. იგი იყო ქართული ეროვნული თეატრის პირველი ქომაგი, მოჭირნახულე და გზის მაჩვენებელი.

თუმანიშვილს არამარტო ესმოდა სასცენო ხელოვნების უდიდესი საზოგადოებრივი დანიშნულება, არამედ მთელი არსებით ილტვოდა მისკენ, ის იყო ჭეშმარიტი თეატრალი. ჩახედული იყო თეატრის ყოველდღიურ საქმიანობაში. ყოველთვის მზად იყო გაჭირვების უამს მხარში ამოსდგომოდა, გაეწია ყველანაირი დახმარება.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მიხეილ თუმანიშვილი გვევლინება, როგორც ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკის ერთ-ერთი მესვეურთაგანი და აგრეთვე პირველი მკაცრი კრიტიკოსი თავისი თანამედროვეობის მთარგმნელობითი მუშაობისა. თუმანიშვილმა ითავა უდიდესი საქმე - კრილოვის და პუშკინის ნაწარმოებების თარგმნა რაშიც მას ქართული და რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნა დაეხმარა. მკვლევართა აზრით, თუმანიშვილი მიუახლოვდა ადევკატური

მაღალმხატვრული თარგმანის დონეს, ღრმად შეიგრძნო ლიტერატურული პირველწყაროს სული და უფაქიზესი ნიუანსები შეინარჩუნა.

სიცოცხლეშივე აღიარებული, მიხეილ თუმანიშვილი სულ მალე აღიარა შთამომავლობამ, როგორც ქართული თეატრის შესახებ მართალი, პირუთვნელი სიტყვის ავტორი. დრომ უფრო მეტად გაზარდა მისი კრიტიკული მემკვიდრეობის ფასი და მნიშვნელობა, მის შესახებ ბევრი დაიწერა ლიტერატურის და თეატრის მცოდნეთა მიერ.

მიხეილ თუმანიშვილის შესახებ ორი აზრი არ არსებობს - იგი ერთხმადაა აღიარებული მე-19 საუკუნის ქართული რეალისტური სალიტერატურო და სათეატრო კრიტიკის მამამთავრად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1956
2. ბურჯანაძე ქ., - „მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“. გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ. 1992

3. ევგენიძე ი., „ქართული რომანტიზმის საკითხები“, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ. 1982
4. კალანდაძე ა., „გვაქვს საგანძური“, „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1986
5. კიკნაძე გ., „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, თბ. 1978
6. მახარაძე ა., „ქართული რომანტიზმი“, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“ თბ. 1982
ნაკუდაშვილი ნ., „ლიტერატურული მიმდინარეობები“, თბ. 1997
7. რადიანი შ., „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, „სახელმწიფო გამომცემლობა“, თბ. 1936
8. რადიანი შ., „ახალი ქართული ლიტერატურა“, გამომც. „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბ. 1954
9. ურუშაძე ნ., „მიხეილ თუმანიშვილი-კრიტიკოსი“, გამომც. „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“, თბ. 1978
10. ქართული მწერლობა ტ. IX. გამომც. „ნაკადული“ თბ. 1992
11. „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. III. გამომ. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1969
12. ჩოხარაძე მ., „ქართველი რომატიკოსების შემოქმედება“, გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2007
13. ჭუმბურიძე ჯ., „ქართული კრიტიკის ისტორია“ ტ. I. გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ. 1974
14. ხელთუბნელი მ., „სალიტერატურო საზოგადოებრივი წარსულიდან“, გამომც. თბ. 1938
15. ჯანელიძე დ., „მიხეილ თუმანიშვილი“, გამომც. „გაზეთი კომუნისტი“, N-37 1940